

619
1990 / 2


ISSN 0130-1624

ქართული
ბიბლიოთეკა



ბუნება

თბილისი
№ 1 1990



შენს პირს შეჯარი...

სანახატი

— გაიღვიძა, საცაა თვალს გაახელს ირაკლი ბიჭი, — ფეხაკრეფით გამოვიდა დიდდა ბავშვის ოთახიდან და სასწრაფოდ ისევ შებრუნდა. ოჯახის წევრები სათითაოდ მიჰყვნენ. ყველას უნდა სწორედ მაშინ ჩახედოს თვალებში ბიჭს, „თოვლის პაპის მოტანილ“ საჩუქრებს რომ დაინახავს და სისხარულით აენთება...

ირაკლი კი რატომღაც არ ჩქარობს, თვალდახუჭული გაუნძრევლად წევს და რალაცნაირი ჩრდილი ადგას სახეზე.

— ნამდვილად სიცხე აქვს, — ლოყაზე ხელი შემოირტყა დიდდამ.

აჩურჩულდნენ, აჩოჩქოლდნენ.

ირაკლი ბიჭმა მძიმედ გაახილა თვალი. ნამოდგა. საჩუქრებით დატვირთულ პატარა მაგიდას გულგრილად დახედა, მერე ისევ დანვა და ქერს მიაშტერა თვალები.

ხმას ველარაჟინ იღებს. მხოლოდ ერთმანეთს შესცქერიან...

— იმას ვინ მიულოცავს ახალ წელს? — დუმილს არღვევს ირაკლი.

— ვის? — ერთხმად კითხულობენ.

— ვინც ყველაზე უფრო გულთმისანია, ყოვლისშემძლე და ბრძენი. ვინც დაჯექალა იხსნა არაბისაგან და ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი ცეცხლში დაწვას გადაარჩინა...

— თვალჩიტას? — მიუხედა დედა.

— პო, სიზმარში მოვიდა. შემისვა ზურგზე და პაიდა, მაქროლა და მაქროლა აქეთ-იქით. რომ ვემშვიდობებოდი, დაღონდა. ისეთი თვლები შექონდა?! მგონი, ტიროდა. შაქარი, შაქარი უნდა წაუღო! — სწრაფად წამოხტა, ისე ჩაიცვა წინა საღამოს დედის ხელით საგანგებოდ დაწყობილი ახალი ტანსაცმელი, ზედაც არ დაუხედავს.

... ბიჭი უკვე ცხენების წინ დგას, მთლად ანთებული, და თვლებიდან სხივებს აფრქვევს. ცხენები ფრუტუნებენ, ჭიხინებენ, ფლოქვებს ძალუმად აბრახუნებენ რკინის კარებზე და ერთი სული აქვთ უსაზღვრო სივრცესთან შერევისა...

უფროსები შიშით იყურებიან ირგვლივ და უკვე ნანობენ, რომ ბიჭი აქ მოიყვანეს. ის კი აინუნშიაც არ ავდებს მისთვის უჩვეულო ხმაურს, ხან ერთთან მივა, ხან მეორესთან, უშიშრად ანვდის შაქარს, თან სიყვარულით საჯერ თვალებით შესცქერის.

— აბა, რომელი ცხენი მოვიდა შენთან სიზმარში? — ეკითხება კეთილი ძია.

ბიჭი თავიდან იწყებს თვალღებებს... მერე თეთრ, ჭკვიანთვალეზიან, ჯიშთან ცხენთან ჩერდება და გადანყვეტით ამბობს:

— აი, ჩემი ცხენი!

კეთილ ძიას გამოჰყავს ცხენი და ბიჭს ალვირს აძლევს. ირაკლი გამოცდილი მხედარივით აკიდებს ალვირს ხელს და გამართული, მტკიცე ნაბიჯებით მიდის. ცხენიც მორჩილად მისდევს...

მიდიან ცხენი და ბიჭი. უცაბედად დაიბადა ნდობა, სიყვარული, რალაც ერთი უთქმელი განცდა. და ამას კითხულობენ უფროსები ბიჭისა და ცხენის თვალბში, მათ სიარულში, ყოველ მოძრაობაში.

მინდორზე გავიდნენ.

„მე შენ შაქარი მოგიტანე, შაქარი და ყვავილები, დღეს ახალი წელია“ — ეჩურჩულება ბიჭი. ცხენი თავს ხრის მის სახესთან, თითქოს კოცნისო. ირაკლი მას თავს უჭერს და ნითელ ვარდებს აბნევს. მერე ჯიბეზე საგანგებოდ ჩამოკიდებულ შაქრის პარკისკენ აცურებს ხელს. ნატებს ხელისგულზე იდებს და სთავაზობს. ცხენი დარბაისლურად იღებს მიპატიჟებას. მერე ისევ ბიჭის სახესთან მიაქვს სახე და თავის გულისნადებს უმხელს:

„ცხენის წელიწადი მოვიდა, ჩემი წელიწადი. სიბრძნე და სიმშვიდე დაუბედოს ჩვენს ერს. შენისთანა გოგო-ბიჭები უმრავლოს და დაეზარდოს სამშობლოს, აჯსრულებოდეთ სანუკვარი ოცნება...“

შენს პირს შაქარი!

2—4

ოთარ ჭინქლაძე. ბამარჯობა, წელიწადი ახალი!

წიგნი
ბიბლიოთეკა

5

ბულიანი ჟოგაბი (დიალოგი).

6—7

ჯემალ მახრიშვილი. იმრავლეთ, იხარეთ!

8—9

ფოტომოთხრობა. ავღაბთ ფახეა, ვადღებრქლოთ სწორედ ახლა ვინც იბადება...



მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ფოტოგრაფი წარდგინებია პროფესორი ზურაბ ჭილაძე.

10—11

ლალი მარტაშვილი. სიამბაზილობა (მოთხრობა).



12—13

ნუნუ ბელაძე. თბილისო, უზენოდ სიცოცხლე არ მიწდა, ანუ ათი ნორჩი დესკანი ამერიკაში.

Beacon

SIMPLY PROUDLY WELCOMES SOVIET EXCHANGE STUDENT





14 - 15

აპაკი ხინთიბიძე. „ეს არ არის სა-
ქართველო“...



16 - 19

დოროთი ჯონსონი. კაცი, მებზა-
ხელად „ცხენი“.



20

კანორამა.



21

სახალწლო მილოცვა (მოთხრობა).



22 - 23

სკორტული ნადავლი.



24

ნუნუ კუაკეიშვილი. მეჯინიბა.



გაზელო, საპარალო



დროშა

№ 1 იანვარი. (397). 1990

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
კოლტიკური და სალიბერატორ-
სამხატვრო ჟურნალი

183



ჩვენთან არს ღმერთი!

საქართველომ კვ ტა-ის გამომცემლობა

● „დროშა“, 1990 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
ბულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერი-
შვილი, ვასილ ზვებაძე, ნათელა გიორგოზი-
ანი, ოთარ ღვებტრაშვილი, ვახტანგ ეხვანჯია,
ჯემალ მახრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-
რედაქტორი), თენგიზ საგსონაძე.

გ ა მ ა რ ჯ ო ბ ა !

გამარჯობა შენი — წილო ახალი!
ახალი წლის ღამეა. ჩერ კარგად არც კი გიცნობ, მაგრამ მინ-
და სულ გამარჯვებით გველოს მთელი 1990 წლის სავალ გზაზე.
ერთად გველოს ფეხშეწყობილებს სწორი და მართალი გზით.
თუ დაგვირდა მინვეულ-მონვეული ბილიკებითაც და არც აღ-
მართ-დალმართში შეგვშლოდეს ფეხი.

წელს ცხენის წელიწადია. ქვეითადაც გვევლოს, ამხედრებულ-
ლებსაც.

ვაუკაცურად გვევლოს და მტკიცე, იმედიანი ნაბიჯებით ამ
ჩვენს დალოცვილ და მაინც უკვე მერამდენეჯერ სისხლით მორწყ-
ულ მშობლიურ მიწაზე.

მაგრამ, მაინც ფრთხილად და წინდახედულად.
იმიტომ რომ, გასული წლის ნავალ გზაზე ყველგან და ყო-
ველთვის ვერ დავეტოვეთ სასურველი ნაკვალევი. მე რომ ახლა ამ
ნაკვალევს ვაკვირდები, გულდაწყვეტილი იმაზეც ვფიქრობ, რომ
აკლდა ხოლმე ჩვენს ნაბიჯებს, ხშირად თუ არა, ზოგჯერ მაინც,
ცივი გონებით ნაკარნახევი ფხიზელი წინდახედულება.

ამით ყოველთვის სარგებლობდა ჩვენი შინაური და გარეშე
მტერი.

ახლაც ისარგებლა.
შენ ეს არ იცი იმიტომ რომ, ახალი წელი ხარ.

მე მოგიყვები.
კარგად დამიგდე ყური და გულდასმით მომისმინე.

სისხლიანი აღმოჩნდა ჩვენთვის გასული წელი.
ავადმოსავლანარი 9 აპრილი — „სისხლიანი კვირა“.

შავი ზღვის პირას დატრიალებული ტრაგედია და თვითმარქ-
ვია აფხაზების უგუნური თვითმკვლელობა.

ის, ვინც საქართველოში უდანაშაულო ქართველ კაცს კლავს,
ადრე თუ გვიან თავის ცხოვრებასაც თვითმკვლელობით ამ-
თავრებს.

საქმე კი მართლაც ისე მიდიოდა, რომ მე ამ თვითმარქვია აფ-
ხაზებისაგან ყოველგვარ სიავეს ველოდი, მაგრამ თუ ისინი ქართ-
ველი კაცის სისხლს დაღვრიდნენ, ამას, მართალი გითხრა, ნამდ-
ვილად ვერ ვიფიქრებდი.

არადა, დაღვარეს.
ახლა, საინტერესოა, რას ფიქრობენ. ნუთუ მართლა ისეთი
უგუნურები არიან, ჰგონიან, რომ ყველაფერი შერჩებათ და სა-
ქართველო მათ ჩადენილ ბოროტებას აბატიებს? იმასაც, რაც
უსინდისოდ გვაკადრეს და გვითხრეს, იმასაც, რაც ჩვენზე დაწე-
რეს და გამოაქვეყნეს და... დაღვრილ სისხლსაც? ვითომ არაფე-
რი მომხდარაო?

არა.
ეს არ იქნება.

მოსისხლე მტერი გვეყოლია ჩვენსავე მიწა-წყალზე შემოფა-
რებული, ჩვენს მიერვე გამთბარი, განებივრებული და ბოლოს
გათავხედებული, ხოლო მტერს კაცი მტრულად უნდა მოეპყრო.
ალარ გვინდა და აღარც გამოგვადგება ჩვენ ძველებურად გულ-
ამაჩუყებული ენით „ისტორიულ მშობასა და მეგობრობაზე“ უნა-
ყოფო ლაპარაკი.

რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.
ახლა მაინც გამოვფხიზლდეთ, ჭკუა-გონება მოვიხმოთ და შე-
ქმნილი ვითარების არსებითად შეცვლის რეალურ გზას დავადგეთ.

მე გეტყვი ამას შენ, ახლო წელი და ამ ახალი წლის ღამეს
ჩემს ჩანაფიქრსაც გაგიზიარებ.

შენ გენდობი.
ამ საქმეს როგორღაც მოველება, მაგრამ გასულმა წელმა კი-
დეც ერთი სადარდებელი დაგვიტოვა და მძიმე საფიქრალიც
გავვიჩინა.

ეს არის ძველისძველ შიდა ქართლში დაბანაკებული ოსების
აგრეთვე უგუნური „ამბოხი“ და იმის „მტკიცება“, რომ თურმე
ისინიც თავიანთ მკვიდრ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და არ იზი-
არებენ არავითარ ფსევდო-მეცნიერულ კონცეფციას თავიანთ
„მოსულობაზე“.

ჰაი, გიდი!
აბა, საიდან ან როგორ გაჩნდა ორი ოსეთი, ან ყოფილა კი
ოდესმე ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი ერთიანი ეკონომიკურ-
პოლიტიკური ორგანიზმი?

ხომ უნდა იფიქრო კაცმა იმაზე მაინც, რას ლაპარაკობ, წერ
და რის დამტკიცებას ცდილობ.

ეს არ შეგიძლია და პასუხის ნაცვლად გაიძახი: — ისტორი-
ული არგუმენტი ჩემთვის მიუღებელიაო.

ცხადია, მიუღებელი იქნება, რადგან ვერც ფაქტს და ვერც
არგუმენტს ვერსად გაექცევი.

ერთადერთი გასაქცევი გზა, შინ მიმავალი გზაა.
ვერც იმ პროკლამაციებს გაექცევი სადმე, მრუდე ხელმა რომ
დაწერა და გაავრცელა: „კარგი ქართველი კვდარი ქართველია“,
„ქართველებო, წაეთრიეთ ოსეთიდან“ და ვერც იმას, ქართველთა
კარ-მიდამოს წიშკრებზე „ზოროს ნიშანი“ რომ მოუხატაათ.

ნუთუ მართლა ჰგონია ვინმეს, რომ საქართველოში, საკუთარ
მიწა-წყალზე რომელიმე ქართველს რომელიმე არაქართველის
უშინია?

არავის არაფერი შეეშალოს.
ყველა ყველაფერზე აგებს პასუხს.

ისიცაა, რომ უმაღლური და უსამართლო კაცის გულში შიში
დაიბუღებს ხოლმე. უთუოდ ამიტომაც, რომ „აღამონ ნიხასის“
ახალშობილი „მომამის“ პუბლიკაციები განგაშს ტეხენ: „საქართ-
ველოში უკვე იქნება „რაზმეულები“, „ქართველ შევარდენთა
ლეგიონი“ და ა. შ.

არც უმაგისობა იქნება, თუ სხვა გამოსავალი არ დაგვიტოვებს,
ერთმა, მეორემ, მესამემ, სხვებმაც.

ერთი სიტყვით, ძნელად სავალი გზით ვიარეთ გასულ წელს.
მაგრამ, მთლად განწირულნი მაინც არ ვყოფილვართ.

ამას როცა ვამბობ, მხედველობაში ძველი ქართული სოფლე-
ბის აღორძინება და ახალმოსახლეობის ქეშმარიტად ეროვნული
ზეიმი მაქვს. დიდი საქმე გაკეთდა და კეთდება სამომავლოდ. არ
ხარ კაცი განწირული, როცა ბუნების სტიქიაც კი გაჭირვებიდან
გამოსავალ გზას გამოიხივს. მე საქართველოს როყას ქართული
სოფლების სულ ახალ-ახალ სახელებს ვაწერ და იმასაც ვფიქ-
რობ, რომ მათი გაგრძელება იმის გარეშეც შეიძლება, სანამ ზვა-
ვის საშიშროება დაგვემუქრებოდეს.

კიდევ მაქვს ცოტა რამ სათქმელი და მათქმევენიე, წილო ახალიო.
გასული წლის დამავიკრავინებელი ერთი უმნიშვნელოვანესი
მოვლენათაგანი უთუოდ გახდა საქართველოს სსრ მეთერთმეტე
მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესია, რომელშიც, ჩემის
აზრით, წარმატებით ჩააბარა საპარლამენტო აკადემიაში მიღების
პირველი გამოცდა. წინ ბევრი გამოცდა გველის და შესაძლოა
განსაცდელიც, მაგრამ იმედის მომცემი ზოგიერთი რამ მაინც
გამოჩნდა ჩვენს მიერ საჯალ გზაზე.

იყო. ნამდვილად იყო ბევრი რამ ახალი, გაბედული და უჩვე-
ულოც ამ სესიაზე დღის წესრიგისა და მუშაობის წესის, აგრეთვე
განსახილველი საკითხებისადმი დეპუტატების დამოკიდებულების
თვალსაზრისითაც, მაგრამ იყო ძველის „გადმონაშთიც“, რაც მძი-
მე ტვირთად აწვება მის თითქმის ყველა მონაწილეს. ამ შთაბეჭ-
დილებას ვადასტურებ მეც, როგორც ამ სესიის მონაწილე და სა-
ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის მრავალ
სესიაზე დამსწრე „დანიშნული“ დეპუტატი. პირადად ჩემთვის
ამჯერად ახალი იყო ისიც, რომ განსახილველად გამოტანილმა
ზოგიერთმა საკითხმა სევდიანი საფიქრალი აღმიძრა.

მაგალითისათვის, თუნდაც ის საფიქრალი, რომელიც ეროვნ-
ული ჯარის ფორმირებასთანაა დაკავშირებული.

კი მაგრამ, თუ ჩვენ ყველას, მათ შორის ეროვნული მოძრაო-
ბის თავკაცებს და თავად ახალგაზრდობასაც ნამდვილად გვინდა
ეროვნული ჯარის შექმნა, რატომ უგულვებელყოფს მოსწავლე და
სტუდენტი ახალგაზრდობა სამხედრო საქმის საშუალო და უმაღ-
ლეს სასწავლებლებში შესწავლას და, მამასადამე, არ ემზადება
ამისათვის?

აი, რა არის საკითხავი.

ოპოზიცია ოპოზიციაა, მაგრამ იმის პრაქტიკულად განხორ-
ციელების ხელისშემწყობი პირობების უზრუნველყოფისათვისაც
ხომ გვინდა ზრუნვა, რასაც მოვითხოვთ, რათა მოუშხადებელი არ
შეგვხდეთ საწადელის აღსრულებას. ეს ეროვნული მოძრაობის
სხვა ასპექტებსაც შეეხება. იქნება დროა, მიტინგზე ნათქვამ სიტყ-
ვას თან საქმეც შევაშველოთ. ეს თუ ვერ ვისწავლეთ და ამას ვერ

მივალწიეთ, დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებიდან ხელში ლიტონი სიტყვა და ფარატინა ქალაღლი-ლა შეგვრჩება.

უკვე გათენდა.

კიდევ გამარჯობა შენი — ახლო წელი!

ახლა მომავალზე ვიფიქროთ.

ერთად ვიფიქროთ, რამეთუ ერთად უნდა ვიაროთ.

ვიაროთ და ხმამაღლა ვიფიქროთ.

ესე იგი ვილაპარაკოთ.

ჯერ ილიამ გვითხრას თავისი სათქმელი.

ილია:

— აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს უთმობს უომრად, უბრძოლველად. აქაც ასე მოხდა. ცხადიც არის რატომ. არსებული, ძველი, ისე არ გა-
ცუდდება, რომ ვისიმე გამოსაყენი არ იყოს. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ბევრი იმისთანა მოღუწებული და შეღაბული კაცია ქვეყანა-
ზედ, რომელიც ისე შეეჩვივა ჭირსა, რომ შეჩვეული ჭირი შეუჩ-
ვეველს ლხინს ურჩევნია. მესამე და ყველაზე უფრო ფესვ-მაგარი კიდევ უფრო ის არის, რომ ყოველს არსებულს, ყოველს ძველსა თავისი ადგილი უკვე დაუპყრია ადამიანის ცხოვრებაში, უმრავ-
ლესობისაგან აღიარებულია, ნებით თუ უნებლიეთ გულ-შეჭერე-
ბულია და ჟამთა ხნიერობით ბეჭედდარული და დამტკიცებული. ამ სამთა მიზეზთა გამო ძველს, არსებულს, მომხრე არ დაეღევა. თვითონ ახალიც, რომელიც ძველის ადგილს უნდა ჩამოსდგეს, დაბადებისავე უმაღლეს არ მომწიფდება, რომ პირში ჩადების და დაღუპვის მეტი სხვა აღარ უნდოდეს-რა. როგორც ძველი ობი, ისე ახლის კვირტი — ძნელი დასანახავია. ამისათვის მეტად სალი, გამჭრე თვალი უნდა გონებისა.

გონების თვალი!

მე ახლა ყველაზე უფრო ის მაწუხებს, რომ ეკონომიკური და-
მოუკიდებლობისათვის ზრუნვა ჯერ-ჯერობით ქალაღზე გადატა-
ნილ ზოგად კონცეპტუალურ ნააზრევს ვერ გასცილებია.

ამიტომ, სათქმელი აქაც უნდა ითქვას.

ხმამაღლა ითქვას, ამ ახალი წლის დილას.

დღეს უკვე აღარც საბჭოეთის უზენაესი ხელისუფლების ხელ-
მძღვანელები ფარავენ, რომ ჯერ-ჯერობით საქმე კვლავ უკან და
უკან მიდის. მე თუ მკითხავთ, სწორედ ასეთ ვითარებაშია კიდევ
უფრო გამართლებული სხვისი მეურვეობის, მოიმედობისა და
სხვისავე კმაყოფიზე ცხოვრების უარყოფა. ასეთი უარყოფისათ-
ვის კი შემზადება გვჭირდება. სერიოზული და საფუძვლიანი შე-
მზადება. ისეთი, რომელიც მომავლისათვის ეკონომიკურად დამო-
უკიდებელი ცხოვრების რეალურ შესაძლებლობას უზრუნველ-
ყოფს. იქნება მეჩვენება კიდეც, მაგრამ გასული წელი ჩვენ ლა-
პარაკსა და წერაში ვარჯიშს მოვანდომეთ, რასაც სხვადასხვა კონ-
ცეფციების შედგენა-შემუშავება დავარქვით.

მაგრამ, ამ კმარა თუნდაც საუკეთესო კონცეფცია, ვერც სა-
უკეთესო ინიციატივა შეცვლის ორგანიზებულობას და გადა-
მწყვეტ მოქმედებას.

აი, რა მინდა გითხრა, წელი ახალი.

ვთქვით, უკვე გაგაჩნია ავად თუ კარგად შედგენილი კონცეფ-
ცია. ვიხილავთ კიდეც მას, ვკამათობთ და ვცდილობთ, მივავნოთ
ქეშმარიტებას. არც ეს მიმაჩნია მე ისეთ რამედ, რასაც წყლის
ნაყვა ჰქვია. მაგრამ, მე ისიც მინდა ვთქვა, რომ ამ განვლილი და
არც ისე მცირე დროის განმავლობაში ხომ შეიძლებოდა სადმე,
რომელიმე მეურნეობაში, სოფელში ან თუნდაც რაიონში პრაქ-
ტიკულად მოგვესინჯა ჩვენი კონცეფტუალური ნააზრევის რეალუ-
რი ეფექტიანობა, სიტყვა საქმესთან შეგვეჯერებინა, იდეა ცხოვ-
რებაში შეგვემოწმებინა და ნაბიჯ-ნაბიჯ მივასლოვებოდით ჩვენი
ეკონომიკური დამოუკიდებლობის ჩაფიქრებული ეროვნული მო-
დელის რეალიზებას.

ახლა, ამ მოდელზეც მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. ის მინდა
ვთქვა, რომ თავად მოდელი, რეალური და ხელშესახები, ესე იგი
ისეთი, რომლის განხორციელებასაც ან თუნდაც მისი რეალიზე-
ბისათვის საჭირო წინამძღვრების შექმნასაც ახლავე შეიძლება
შევუდგეთ, მე ვერც საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკი-
დებლობის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოტანილ
პროექტში დავინახე და ვერც აგრეთვე პროექტის სახით გამო-
ქვეყნებულ მის ალტერნატიულ ვარიანტში. საქმე ის არის, რომ
მე ამ პროექტებში ვერ დავინახე წლების მანძილზე გაუკუღმარ-
თებული გზით ჩამოყალიბებული და ამჟამად არსებული ჩვენი
სახალხო მეურნეობის სტრუქტურის რადიკალურად შეცვლის გა-
ბედული ცდა და სურვილიც კი.

მომე მდგომარეობა,

ზევითაც, ქვევითაც, ყველგან და ყველაფერში.

ამ ახალი წლის დამდეგს მე ისიც მაწუხებს, რომ კარზეა მო-

მდგარი საქართველოს სსრ უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს
სადეპუტატო არჩევნები.

როგორი იქნება ქართული პარლამენტი — ჩვენი პარლამენტი
სათათბირო?

ვინ და როგორ ავირჩიოთ იქ ისე, რომ მერე სანახებელი და
თავში ხელის საცემი აღარ გავვიხდეს?

არადა, ჯერ-ჯერობით მე, მაინც და მაინც ვერც კი ვატყობ,
რომ ვინმე სერიოზულად ზრუნავდეს ამისათვის და მათ შორის
რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოებიც. აგრეთვე
ოპოზიციური მოძრაობაც, რომელმაც ჩემის აზრით, უთუოდ უნ-
და მიიღოს აქტიური მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნების
მომზადებასა და ჩატარებაში. ამას მე იმიტომაც ვამბობ, რომ არა
მარტო თანავუგრძნობ ოპოზიციას, არამედ მისი მომხრეც ვარ.
ამის თაობაზე ადრეც მითქვამს და დამიწერია კიდეც.

მაგრამ...

მაგრამ ის, რომ ჩემის შეხედულებით ოპოზიციას თავისი გა-
მოკვეთილი, რეალისტური და პერსპექტიული პოზიცია უნდა გა-
აჩნდეს. როცა კაცი ყველაფერს მიედ-მოედები და კონკრეტული
საქმე ბოლომდე ვერ მიგიყვანია იმის გამო, რომ დასახული მიზ-
ნის პრაქტიკულად განხორციელების ტაქტიკური გზებისათვისაც
ვერ მივიგნია, ეს უკვე აღარაფრად აღარ ვარცა. ძალზე ბევრმა
ოპოზიციურმა მიმდინარეობებმა, საზოგადოებებმა, ორგანიზა-
ციებმა და პარტიებმაც კი იბარტყა ჩვენში, მაგრამ რად გინდა
მერე: ლაპარაკი, ლაპარაკი, ლაპარაკი...

კი, ბატონო!

სიტყვაც საქმეა. დიდი საქმეც. აუცილებელიც და სარგებ-
ლიანიც.

მაგრამ, საქმე?

პრაქტიკული საქმე.

ეს საქმე ვინ აკეთოს?

მით უფრო ისეთი, რომელიც თვითმომქმედსა და არაფორმა-
ლურ საზოგადოებრივ გაერთიანებებს უფრო უკეთ გამოუვათ,
ვიდრე ოფიციალური ხელმძღვანელობისა და მართვის ორგანოებს.

არის ზოგიერთი რამ ასეთი, ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნე-
ლობის მქონე და მათი დანახვა გვჭირდება.

ვერ დავინახეთ და ვერც ჩვენს ეროვნულ სატივარს ვუმკურ-
ნალეთ ისე, როგორც შეგვეძლო. ნაღდად შეგვეძლო და არც ახ-
ლა. ამ ახალი წლის საველ გზაზეა გვიანი. აფხაზეთშიც, ქვემო
ქართლშიც, იქაც, სადაც ჩამოსახლებული ე. წ. „სამხრეთელი
ოსები“ რაღაცას გვედავებიან და საკუთარი „ჩრდილოეთი ოსე-
თი“ კი ხელიდან ეცლებათ.

ზოგიერთი სხვა რამ მნიშვნელოვანიც.

მე, მაგალითად, იმის დიდი იმედი მქონდა და ახლაც მაქვს,
რომ კოლპერატული მოძრაობა, საოჯახო იჯარა სოფლად, საკუთ-
რების სხვადასხვა ფორმები, მათ შორის კერძო, ჩვენში ფეხს
მოიკიდებდა, სასურველი მიმართულებით განვითარდებოდა და
რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის რეალური წი-
ნამძღვარი გახდებოდა.

ეს ასე არ მოხდა.

იმიტომ არ მოხდა, რომ ისევ ქალაღდის ყოვლისშემძლეობის
იმედით ვცხოვრობთ და ჩვენთვის მიუღებელი, საზიანო და უნა-
ყოფო სახალხო მეურნეობის არსებული სტრუქტურის განახლე-
ბისათვის რეალურად არ ვზრუნავთ.

ყველამ რომ ვაჭრობა და ფულის კეთება მოვინდომეთ, იმაზე
რატომ არავინ იფიქრა — ჯერ პროდუქტი უნდა შექმნა და მერე
ივაჭრო, თორემ სულ სხვაზე იქნები დამოკიდებული და ხელ-ფეხ-
შეკრული.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარეშე არ არსებობს ეკო-
ნომიკური დამოუკიდებლობა, და პირიქით.

ეს პირიქითაა ანგარიშგასაწევი და მხედველობაში მისაღები.

აი, თუნდაც ჩვენში ახალგაზრდადგული საგაფიცვო მოძრაობა.

გავიფიცოთ?

გავიფიცოთ!

მუშები, მოსწავლეები, სტუდენტები.

მერედა რატომ, ან რა შედეგს ველით.

ან რა მივიღეთ.

არაფერი.

ზარალი კი დიდია.

ახლა იმის თაობაზე, როცა უცხოურ ენებზე დაწერილი ტრანს-
პორანტები „ნატოს“ ქვეყნებს, გაერთიანებული ერების ან სხვა
რომელიმე ორგანიზაციას უხმობენ თანაგრძნობისა და დახმარე-
ბისათვის.

ფუჭი და უნაყოფოა ყოველივე ეს.

სულხან-საბა ორბელიანი ევროპიდან გაწბილებული დაბ-
რუნდა.

19316

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

1921 წლის მარტში და მომდევნო წლებშიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, აგრეთვე იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწე ევროპაში გაიხიზნა სამშობლოში მალე დაბრუნების იმედით. ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ ევროპის ქვეყნები ყურად იღებდნენ მათ კანონიერ თხოვნას და ახალშობილ საბჭოთა რუსეთს აიძულებდნენ, შეეერთებინა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება.

მაგრამ იმედი იმედი და რჩა — გაცრუებულ იმედად. ყველაფერი აყო: დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ კონსერვატიული მოქმედების თვით ფაქტის აღიარებაც, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის დასტურიც, მწუხარებისა და თანაგრძობის გამოხატუებაც... მაგრამ, არ იყო მთავარი — რეალური დახმარება. და ეს მაშინ, იმდროინდელი რუსეთის პირისპირ.

ევროპას ჩვენთვის არც მაშინ ეცალა და არც ახლა სცალია. არც ევროპას და არც ამერიკის შეერთებულ შტატებს. მით უფრო ახლა.

დავფიქრდეთ ამაზე ამ ახალ წელს მაინც და ჩვენ თავს ჩვენვე მივხედოთ.

პოლიტიკოსს რეალისტობა მოეთხოვება, განსწავლულობაც და კარგი ისტორიული მეხსიერებაც.

კიდევ ერთი საახალწლო სურვილი.

ერთი ისე ვამბობ, თორემ უთუდ მეტი გამომივა.

ასეც არის.

გაჭირვების და ზოგჯერ ჩვენივე ხელით ხელოვნურად შექმნილი სიძნელეებისა და მერე მათი გადალახვისათვის საკუთარი თავის მტკრევის გამო ხდება ასე.

მაგალითად.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ცნობილი ქართველი მეცნიერებიც კი მოითხოვენ, რათა საქართველოს სსრ სახალხო დემუტატებიც არჩევნებისათვის დაწესდეს გარკვეული ლიმიტი თუშების, ფშავლების, ხევისურების, მთიულეების, გუდამაყრელებისათვის და იცით, რა მიზეზით? იმის გამო, რომ დამოუკიდებელი ადმინისტრაციული რაიონების უქონლობის პირობებში ვერ ხერხდებოდა მათი სამართლიანი ინტერესების დაცვა.

ესე იგი მეზობლად მცხოვრები ქართველი არ დაიცავსო მეზობლად მცხოვრები ქართველის ინტერესებსო.

ისე გამოდის, რომ ქართველი კაცი აუცილებლად მთიელი უნდა იყო, რომ მთიელის ინტერესები დაიცვა, კახელმა კახელის, გურულმა გურულის, მეგრულმა მეგრელის და ა. შ.

გაგონილა ასეთი რამ?

ისევ და ისევ ფეოდალური პარტიკულარიზმი, ისევ დანაწილება და დაქუცმაცება იმის მომიზეზებით, რომ სრულიად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველები ერთმანეთის „სამართლიან ინტერესებს“ არ დავიცავთ და, მაშასადამე, თითოეულმა საკუთარი თავისათვის უნდა იზრუნოს.

საოცარია პირდაპირ.

განა შესაძლებელია, ერთსადაიმავე დროს კაცმა ჭრა და კიდევ კერო?

ან რატომ მოგვდის ასეთი რამ ჩვენ დღეს მაინც, როცა მწარე ისტორიული გამოცდილება განწირული ხმით მოგვიწოდებს საქართველოს ეროვნული ერთიანობისაკენ.

დავფიქრდეთ ამაზე.

სხვა რამ არის კიდევ განსჯის საგანი.

იქნება მეჩვენება და ვცდები კიდევ, მაგრამ ასე მგონია, მთელი ჩვენი ნიჭი და ეროვნული ენერჯია იმას ხმარდება, რომ არის ღირსი თუ არა, ჩვენივე გულის მოსაფხანად, ყველას ვუბასუხოთ გულდერი წესით ნებისმიერ, თუნდაც სულელურ გამოხდომაზე. რასაც ამა თუ იმ რუსულენოვან გამოცემაში ეთობა ადგილი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი მრავალრიცხოვანი პასუხები, როგორც წესი, ადრესატამდე არ აღწევს.

გწეროთ და ვიკითხოთ.

და ეს მაშინ, როცა სხვისი წასაკითხი დაუწერელი და გაუგზავნილი გვრჩება.

თუნდაც ასეთი.

ბევრჯერ მსმენია და თავადაც აღფოფოტებულვარ, როცა უცხოურ ენციკლოპედიურ ან სხვა ხასიათის საცნობარო გამოცემებში საქართველოს ისტორია დამახინჯებულადაა წარმოდგენილი ან სხვებთან შედარებით მოკლედ და უფერულადაც.

მერედა რატომ?

იმიტომ, რომ თითონ ჩვენ, თუნდაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, დროულად არ ვუგზავნით სათანადოდ მომზადებულ მასალას შესაბამის გამოცემლობებს და რედაქციებს. ეს იმ დროს, როცა საყოველთაოდაა ცნობილი ენციკლოპედიებისა და სხვა საცნობარო ლიტერატურის გამოცემის პრაქტიკა.

გამომცემელიც ცნობილია და რედაქციაც. ისიც ცნობილია, რომ მასალა გამომცემელს დაინტერესებულმა მხარემ დროულად უნდა მიაწოდოს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონს კიდევ... წინა გამოცემებში დაშვებული შეცდომები, უზუსტობანი და...

ეს ჩვენი გასაკეთებელი საქმეც სხვამ აკეთოს?

აკეთებენ კიდევ და ჩვენ კი იმას-ლა ვჯერდებით, რომ „გულს ვიფხანთ“ და საკუთარ თავს ვალიზიანებთ იმის გამო, რის გამო-სწორებაც ჩვენივე დაუდევრობის შედეგად აღარ შეიძლება.

და ასე წლიდან წლამდე. უწინაც. ახლაც.

ამ ახალ წლიდანაც?

არა.

არ კმარა იმაზე გაუთავებელი წუწუნი, რომ თურმე უცხოეთში არავინ გვიცნობსო და ისიც კი არ იციან, თუ სად არის საქართველო და ვინ არიან ქართველები. ან საიდან უნდა იცოდნენ, თუ არაფერი გამოეცი უცხოურ ენებზე, არაფერი გააგზავნე და არც მის გავრცელებაზე იზრუნე. ან ჩვენთან ჩამოსულ უცხოელ ტურისტებს რას და როგორ ვაჩვენებთ, რა შეუძლიათ მათ შეიძინონ მოკლე და პოპულარული, სათანადოდ ილუსტრირებული ისტორიული ხასიათის საცნობარო ლიტერატურიდან?

არაფერი.

ან თითქმის არაფერი.

არადა ამის შესაძლებლობა გვაქვს: გამომცემლობებიც საკმარისი რაოდენობითაა და ფუნქციონირებს საგანგებოდ შექმნილი ისეთი კოლეგია, რომელსაც დაეკისრა მთარგმნელობითი საქმიანობა. ამ მხრივ, ჩვენთვის მეტად სასარგებლო და ნაყოფიერი მუშაობის გაშლის თითქმის შეუზღუდავი შესაძლებლობანი გააჩნია ქართული ენციკლოპედიის გამოცდილსა და საკმაოდ კვალიფიციურ კოლექტივსაც.

სასურველი შედეგი კი ჯერჯერობით მაინც არ ჩანს.

ბეჭდვითი პროდუქცია არ გაგვაჩნია.

ისეთი, რომელსაც საქართველოში მომავალი უცხოელები თვითმფრინავში შეიძინენ, სასტუმროებშიც, დასათვალიერებლად შერჩეულ ობიექტებზე მოწყობილ ჭიხურებშიც, წიგნის მაღაზიებშიც. ყველგან, სადაც ეს საჭიროა და შესაძლებელი, საზღვარგარეთაც.

ჩვენ ისევ გზის დასაწყისში ვართ.

ილია:

— ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი.

ეს კი ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, ვისწავლით თუ არა ჩვენ საპარლამენტო ბრძოლის პოლიტიკური გზით სიარულს და ამ გზაზე ჩვენი ეროვნული პრობლემების გადაწყვეტას.

ამ ახალი წლის ადრეულ ვახაფხულზე, გარდაქმნისა და განახლების გზით მავალი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დემუტატების პირველი არჩევნები გაიმართება.

აქ რაიმე შეცდომის დაშვება მიუტევებელი ცოდვია. ერის, ქვეყნისა და ჩვენი ხვალისდელი დღის წინაშე.

გვეყოფა.

ნულარ შევცდებით.

ღმერთო, შენ გვიშველი!

ილია:

— დიად, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი მიხვდა, რომ ღვთის მიმართ ღელთ-აპყრობა, ლოცვა და ვედრება კარგია, მაგრამ თითონ ღმერთს მარტო თვითგამრჩელი, თვითმომქმედი, ხელ-გამომავალი კაცი უყვარს და ამასთან კაცსა შევლის, ამისთანა კაცსა სწყალობს. მიხვდა, რომ ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხნეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც თავის-თავის იმედით გულოფნობს, ვინც თავის-თავის იმედით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში — არსებობისა და საპატიო ადგილის დაჭერისათვის.

დრო კი მიდის.

ახალი წლის ეს პირველი დღეც მიიწურა.

და ჩემი მომავლის იმედით დატვირთული ეს საახალწლო აღსარებაც.

გამარჯობა შენი — წილო ახლო!

შენ ცხენის წელიწადი ხარ და არ გამაწბილო ყოველ ცისმარე დღეს ცხენზე ამხედრებული შენი თანამგზავრი.

ერთად ვიაროთ.

ვიაროთ და ხმამალა ვიფიქროთ.

ესე იგი, ვილაპარაკოთ.

სათქმელი კიდევ დამრჩა.

შენ გატყვი.

ბედნიერი მგზავრობა!



მისათვის, რომ დავუბრუნოთ ქართულ ღვინოებს ძველი ღირსება და აღიარება, უნდა უარყოფთ ყოველგვარი შხამ-ქიმიკატი ყურძნისა და ღვინის წარმოებაში, განვავითაროთ ბრივადული იჯარა. გადაუდებელია მშრომელ ადამიანში დაკარგული რწმენისა და ნდობის აღდგენა. ძლიერი აგროფირმა — ეს არის ის რეალური გზა, რომელიც საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ წაიყვანს. ამ და სხვა საჭიროებოთ საკითხებზე საუბრობენ აგროფირმა „ნაფარეულის“ დირექტორი მერაბ ხიდეშელი და ჟურნალისტი მზია ჭიჭიაშვილი.

— ბატონო მერაბ, დღეისათვის საერთოდ როგორი ტენდენციები შეინიშნება ღვინოების მოხმარებაში?

— დღეს მთელი მსოფლიო მშრალი ღვინოების დეფიციტს განიცდის. საქართველო კი ფაქტობრივად საუკეთესო მშრალი ღვინოების ტრადიციული ქვეყანაა. ამიტომ გარდაქმნის შედეგად გარდაცვლების კვალობაზე ქართული მევენახეობა-მეღვინეობას შესაშური ასპარეზი ეხსნება, რა თქმა უნდა, თუკი ამ შესაძლებლობას რაციონალურად გამოვიყენებთ.

— თელავის რაიონის ეს აგროფირმა ერთი წელია რაც არსებობს და როგორც შევითქვამ, უკვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელთა წაუღიანთ „ნაფარეულის“ ნიმუშები. რას გვეტყვით თქვენს გეგმებსა და მიზნებზე?

— აგროფირმის სტატუსის მეშვეობით სრული უფლება გვაქვს, ჩვენი პროდუქცია საკუთარი შეხედულებისამებრ მოვიხმაროთ, გავასაღოთ, დავაწესოთ ფასები. აქ იგულისხმება მსოფლიო ბაზარზე და საკუთარი ხელშეკრულებებიც. რაც შეეხება დასავლეთ გერმანიას, დასაწყისი მეტად სარფიან და მრავალფეროვან თანამშრომლობას გვპირდება.

— მაგრამ ამჟამად თქვენს აგროფირმას შესწევს ასეთ დიდ ასპარეზზე გასვლის უნარი?

— აქ ბევრი პრობლემა იყრის თავს, მაგრამ ერთი რამ უდავოა: როგორი მალხაზარისხოვანი პროდუქცია უნდა აწარმოო, თუ მას სათანადო რეკლამაც არ ახლავს, თუ ის რიგიან ჭურჭელში არ მოათავსე და მოხმარებელმა ეტიკეტში დიზაინის უგულვებლყოფა აღმოაჩინა, მაშინ ამ პროდუქციის ბედ-იღბალი უკუღმა წავა. ამიტომ ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა, ხარისხთან ერთად მსოფლიოში ცნობილი ღვინის მწარმოებელ და სავაჭრო ფირმებთან ურთიერთობაზეც ვიზრუნოთ. დღეისათვის რამდენიმე ასეთი მოლაპარაკება უკვე დაწყებულია და გარკვეულწილად წარმატების იმედიც გვაქვს.

— ხელშეკრულების გარანტიას დასავლეთ ევროპაში თქვენ მიერ გაგზავნილი საკონტროლო ღვინოები უნდა იძლეოდნენ.

მაგრამ რა პასუხს ვაძლევთ საზღვარგარეთელ მოხმარებელს ამ მოზღვავეულ შხამ-ქიმიკატებზე?

— გეგმიანმა სისტემამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე და სხვა აღარაფერი დაგვრჩენია, რომ ვალიაროთ — ეკოციდი ჩვენ თვითონ შევქმენით ხელოვნურად, თანაც მთელ საბჭოთა კავშირში. მე, როგორც სპეციალისტი და მოქალაქე, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: სოფლის მეურნეობაში და, კერძოდ, მევენახეობაში აბსოლუტურად უნდა მოვსპოთ შხამ-ქიმიკატების გამოყენება და ვიხმაროთ მხოლოდ მამაპაპური ბორდოს ხსნარი, ისიც მამა-პაპური წესებით დაყენებული.

ადრე თუ ჩვენს მეურნეობაში 67 კაცი ემსახურებოდა წაღლისა და შხამ-ქიმიკატების დაყენებას, ახლა ამას მხოლოდ შვიდი კაცი ასრულებს. ამით ეკონომიკურ ეფექტსაც მივაღწიეთ — გამოთავისუფლებული მუშახელის ხარჯზე ახლა ბორდოს ხსნარით 800 ჰექტარის შეწამვლას 5 დღეში ვამთავრებთ, როცა წინათ 21-22 დღეს ვუნდებოდით. მიუხედავად იმისა, რომ წელს არახელსაყრელი ამინდები იყო და არც ერთი მუტა ქიმიკატი არ გამოვიყენებია, არნახული 3-სავალი მივიღეთ. ასეთი ჭირნახული 20-21 წელია არ ახსოვს ნაფარეულის ზერებს: 4650 ტონა ყურძნის ნაცვლად 4900 ტონა მოვიწიეთ. რა თქმა უნდა, აქ დიდი როლი ითამაშა ბრივადული იჯარის დანერგვამაც, მაგრამ თავიდათავი მაინც ტრადიციული გლეხური მოვლა-პატრონობის წესების აღდგენა იყო. ჩვენი მევენახის ფსიქოლოგიაში ძალზე უხეშადაა ჩამჯდარი ეს ყურით მოთრეული, ვითომდა თანამედროვე, აგროტექნიკური მეთოდები და აკი შედეგებიც სავალალო გვექონდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ქართულმა ღვინოებმა თანდათან დაკარგეს სახელი და დიდება მსოფლიო ბაზარზე! გარდა ამისა, როგორ შეიძლებოდა მევენახეობის და მეღვინეობის გაყოფა?! ეს ორი დარგი უძველესი დროიდან ისეა ერთიმეორესთან დაკავშირებული, რომ არაფრით არ შეიძლება და მათი მოშლა. არადა, შეიქმნა ორი უდიდესი ინსტიტუცია გაბერილი და თითო-დან გამოწოვილი შტატებით, ცალ-ცალკე გეგმებითა და ცალ-ცალკე მიზან-მიმართულებებით. სწორედ იმ პერიოდში შეირყვნა ერთიმეორის რწმენა. მევენახე დღედაღამ ზვარში ტრიალებდა და თავისი შრომის ნახევარ საფასურსაც ვერ იღებდა. თანაც იცოდა, რომ კარგი ყურძენი შეჰქონდა მარანში. იქ კიდევ „თავიანთი“ გეგმა იყო საზრუნავი და... მევენახეს მეღვინის აღარ სჯეროდა, მეღვინეს კი მევენახისა.

თავად „სამტრესტის“ შინაარსიც რომ დავამახინჯებ?! მევენახეობა ცალკე ფრონტად დავტოვეთ და მხოლოდ ღვინის ქარხნები გავაერთიანეთ. რატომ, რისთვის? და აი, გამოჩნდა ახალი ფორმა — აგროფირმა. ეს არის საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის აღზევებისა და ამ დარგის ირგვლივ შექმნილი არაჯანსაღი ფსიქოლო-

გიური კლიმატის გაჯანსაღების ერთ-ერთი სწორი გზა.

— რაკი თქვენი თავის ბატონ-პატრონები თქვენვე გამხდარხართ, რამდენად სწორად მიგაჩნიათ მაკონტროლებელი ორგანოების არსებობა?

— ამდენი მაკონტროლებელი ორგანოები არც არასოდეს ყოფილა საქირო და მით უფრო ახლა. იქ, სადაც პატიოსანი შრომაა და დოვლათის პატრონი უშუალოდ თვით ამ დოვლათის შემქმნელია, აღარც ქურდობა-დატაცების საშიშროება არსებობს.

— აგროფირმა დღიური ნორმატივების გადასინჯვას ხომ არ აპირებს?

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამის ღონე არ მოგვედევს, თუმცა კი ძალიან დაბალია მევენახის დღიური ნორმის საშუალო ანაზღაურება. ამიტომ ვეძებთ საამისო რეზერვებს, სტიმულირების ახალ-ახალ ფორმებს. ერთი რამ კი გულახდილად უნდა ითქვას: ჩვენი მევენახე ასე გატანჯული ალბათ არასოდეს ყოფილა, როგორც დღეს. მას აქვთ, რაც მევენახეობას ძველი სახელი და ფასიც დააკარგინეს, ზოგმა ვაზი გაჩეხა და ხილ-ბოსტნეულის მოყვანას მიჰყო ხელი, ხოლო ბევრი გლეხკაცი საშოვარზე გადაიხვეწა უცხო მხარეში. მაგრამ ქალი, ოჯახის დედა სად წასულიყო?! ამიტომ ფაქტობრივად დღეს მათი ანაბარა დარჩა პირადი თუ საზოგადოებრივი მეურნეობები. არადა, თოხის, ბარის, სხვლის და რემონტისათვის მართლაც რომ ცოდონი არიან ჩვენი ქალები. თანაც მთელი დღის მძიმე შრომა 3-5 მანეთია, მოწვეული ყურძნის საშუალო სახელმწიფო ფასი კი 60 კაპიკს ვერ ასცილებია. ალბათ, უკვე დროა მევენახეობას სათანადო ყურადღება და პატივი მივაგოთ. თუმცა ბევრი რამ მაინც ადგილობრივ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ჩვენთან, წლების განმავლობაში ვილაცამ ჩამოაყალიბა აზრი, რომ ნაფარეულში ზარმაცი ხალხია, სოფელს ყველა გაურბისო. მაგრამ აბა დღეს ნახეთ?! ნებისმიერი სოფელი ინატრებს ჩვენაირ სპორტულ მოედანს, კულტურის სახლს, ახალგაზრდულ კაფე-ბარს, დრამატულ დასს, ხალხური სიმღერების ანსამბლს... როცა სოფელმა დაინახა, რომ კაცი თავისი შრომის საზღაურს იღებს და მის მიერ მოყვანილ ყურძენს სათანადოდ უპატრონებენ, მაშინ შოროდან (ქირა უკვე უგუნურობად ჩათვალა.

ნაფარეულში 1200 კომლია. ადრე თუ 300-400 მუშახელს ძლივს ითვლიდა მეურნეობა, ახლა 1000-ზე მეტი კაცი მუშაობს. ადრე თუ 2000-მდე ტონა ყურძენს 36-40 დღეში კრეფდნენ, წელს 13 სამუშაო დღეში ავიღეთ 4 900 ტონა. მოხდა რამე სასწაული?! არა! ერთი სანუკვარი ნაოცნებარი ახლა მხოლოდ: აგროფირმის სახით სოფელს ერთი გულიანი ქომავი და პატრონი გამოუჩნდა!!!

იერუსალემი, იერუსალემი!

მართალია, იმ მსხვერპლისმთესველ ზვავ-მეწყურთა ებიცენტრი მხოლოდ აკარის მთიანეთი იყო, მაგრამ მომხდარი საშინელება მორალურად, სულიერად თუ ეკონომიკურად მთელმა საქართველომ განიცადა და გაითავისა. სტიქიონისაგან დაზარალებული თანამოქმენი ღვთის ანაბარად არ დარჩენილან — მათ ახალ ადგილზე დასასახლკარებლად რესპუბლიკის მთავრობამ დიდძალი ფულადი სახსრები და სამშენებლო ფონდები გამოყო, ხოლო წარმოება-დაწესებულებებისა და მოქალაქეების მიერ დაზარალების ფონდში გადარიცხულ თანხებს ბოლო არ უჩანს. დღეს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში დაჩქარებული მშენებლობები მიმდინარეობს, რათა კარ-ფუძე დამარხულმა, უღმობელი ბუნებისაგან აწიოკებულმა ადამიანებმა ახალი კერა გაიჩინონ.

საქართველოს ერთ-ერთი ასეთი კუთხეთაგანი ახალქალაქის რაიონიცაა, რომლის შვიდ სოფელში — კოთელია, პტენა, ჩუნჩხა, გოგაშენი, ოკამი, აფნია, აზმანა — სტიქიით დაზარალებულთათვის უახლოეს ხანში ორასზე მეტი სახლი უნდა აშენდეს. გეგმით გათვალისწინებული ბინების საკმაო ნაწილი უკვე აშენებულია. მშენებლობა კვლავ გრძელდება. ეს ორსართულიანი ბინები ინდივიდუალური, მრავალთაზიანი, მკვიდრი და ეზოიანია.

ამ პატარა წერილში ამჟამად მხოლოდ „კავკასგვირაბმშენის“ საქმიანობაზე იქნება ლაპარაკი.

მას აქვთ, რაც კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა უარყოფილი იქნა, „კავკასგვირაბმშენის“ კოლექტივის შესაძლებლობა მიეცა და მხურვალე სურვილიც გამოთქვა, რომ სტიქიით დაზარალებულებს ამოსდგომოდნენ გვერდში. გერ მარტო დაზარალების ფონდში 120 ათასი მანეთი გადარიცხეს, შემდეგ კი ვალდებულება აიღეს ახალქალაქის რაიონის სოფელ გოგაშენში 1989-90 წლებში 62 ორსართულიანი, ინდივიდუალური ბინა აეშენებინათ. მათ შორის ორი უსასყიდლოდ, საკუთარი სახსრებით.

— გოგაშენში პირველად შარშან, 27 ივლისს ჩამოვედით, — იგონებს სამმართველოს უფროსი რევაზ ბაკურაძე, — და მაშინვე საწარმოო ბაზის მონტაჟი დავიწყეთ.



სიცოცხლე გოგაშენში



ავთანდილ ჩალაძე პროექტის განხილვის დროს

პირველი ქორწილი



თავიდანვე კარგად გვესმოდა, თუ საკუთარი ბაზა არ გვექნებოდა, ბინათმშენებლობაში წარმატებას ვერ მივალწევდით და სულ მუდამ სხვის ხელში შემყურენი ვიქნებოდით. არადა, დრო აღარ იცდიდა: ზამთარი ახლოვდებოდა, ლტოლვილები კი ბარაკებსა და ვაგონებში ცხოვრობდნენ. ამჟამად ცემენტისა და ლითონის ნაკეთობათა გარდა, ყველაფერს ადგილზე ჩვენ თვითონ ვაწარმოებთ. წავიდეთ, ვნახოთ!

კავკასგვირაბმშენებლებს მართლაც უყოჩაღიათ და საკუთარი საწარმოო ბაზა აუშენებიათ: სამსხვერვე-დამხარისხებელი ქარხანა, სასაქონლო ბეტონის ორი ქარხანა, საკვლელე ბლოკის გამოშვები სამი საამპრო, სასაქონლო არმატურის და ხის ნაკეთობათა დამზადების საამპროები. ასეთი მძლავრი ბაზის წყალობით მშენებლებმა შარშან შემოდგომის მიწურულს 30 ოჯახს აზეიმებინეს ახალმოსახლეობა და მაშინვე შეორი პარტიის — კიდევ 30 სახლის მშენებლობას შეუდგნენ. ამ წარმატებას ისიც



ფუძის კურთხევა



სწორდება ახალი სახლის საძირკველი

უწყობს ხელს, რომ მშენებელთა 220-კაციანი რაზმი შემთხვევითი და გამოუცდელი მუშებისაგან კი არ არის დაკომპლექტებული, არამედ ნაცადი, პროფესიონალი მშენებლებით. ბარაქალა მათ ვაუკაცობას: თვეობით მიუტოვებით სახლ-კარი, ცოლ-შვილი, ფარდალა კარვებში ცხოვრებასაც; არ თაკილობენ და ერთგულად ემსახურებიან ამ მართლაცდა ეროვნულ საქმეს.


დროებით ბარაკებსა და დანჯღრეულ ვაგონებში მოთავსებული დაზარალებულნი, მართლაც მეტისმეტად ვიწროდ არიან. ამიტომ ანტისანიტარიის წინააღმდეგ ბრძოლაც ერთობ ჭირს. ამას ზედ ერთვის მედპერსონალის სიმცირე.

აჭარიდან ჩამოხიზნულებს მოსწონთ გოგაშენი. არადა, სოფელს არაფერი აქვს დასაწუნი: ჰაერი — წმინდა და სალი, წყალი — გემრიელი, ადგილი ვაკიანი და ხალვათი, მიწა — შავი და ნოყიერი, სახნავ-სათიბ-სათეს-საძოვარი — უხვი, კარტოფილი — მსხვილი და გემრიელი, პირუტყვი — ჯიშიანი და მოვლილი. აქ არ არის მეწყერის, ზევის, ღვარის, დატბორვისა და წყალდიდობის საშიშროება.

ხედი? ამ მხრივ გოგაშენი მთელს საქართველოში ერთადერთი სოფელი ყოფილა, საიდანაც მოჩანს ისეთი ღვთიური ხედი, რომელსაც სხვა ვერც ერთი ადგილიდან ვერ დაინახავთ. ამ ძველი სოფლის ახალმშენე უბნის ვაკიანს სამასიოდ მეტრით რომ გასცდებით, მოულოდნელად დამთავრდება ტრიალი მინდორი და შიადგებით ციცაბო ფერდობს. თუ წინასწარ არ ხართ ინფორმირებული, განცვიფრებისაგან უეჭველად გაშეშდებით: ორიოდ კილომეტრის მანძილზე, სადღაც ქვევით, მათათა თხელბურუსიან სიღრმეში, თქვენ თვალწინ გადაიშლება მტკვრის ჭადოსნური ხეობა, დამშვენებული ვარძიის გრანდიოზული ანსამბლით!!

ასე რომ, დასახლდით და გამრავლდით!

ჯეზალ მხარისხილი



ხეალის იმედნი



მშენებლობა გრძელდება






ლაპარაკი
 უახლეს
 ვაქცინა-
 რეკორდით
 სწრაფ
 ახალ
 ვინც
 იხალისა...

სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების
 თბილისის ინსტიტუტი, მენაობა-გინეკოლოგიის კათედრა





საქ- მედი- ცინა



დემოკრატიზაციამ და საჯაროობამ ბევრი რამ შეცვალა ჩვენს ცხოვრებაში. ახლა საპატრიო წოდებების მინიჭების საკითხს შემდგომი ორგანოები კი არ წყვეტენ პირადი შეხედულებისამებრ, არამედ შრომითი კოლექტივები.

ასე მოხდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტშიც. სამეცნიერო საბჭომ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებაზე ერთხმად წარადგინა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ჭილაძე. იგი ინსტიტუტში სამათეულზე მეტი ხნის მანძილზე მუშაობს. ასპირანტურა გაიარა მოსკოვში. იყო ასისტენტი, დოცენტი. პროფესორი. 1965 წლიდან კათედრის გამგეა.

მრავალმხრივია ზურაბ ჭილაძის გამოკვლევები მეანობა-გინეკოლოგიაში. ზოგიერთი მათგანი შესულია სახელმძღვანელოებში, დანერგილია ჩვენთან და საზღვარგარეთ.

გამოქვეყნებულია მეცნიერის 107 შრომა, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მიმართულება.

შრომების სერია მიეძღვნა მედიკამენტების გავლენას დედისა და ნაყოფის ორგანიზმზე, განსაკუთრებით რადიოაქტიური იოდის 131-ის ნაყოფზე დამაზიანებელ მოქმედებას.

ქალის უშვილობის ქირურგიული მკურნალობისათვის შეიქმნა ახალი კონსტრუქციული ოპერაციების მოდიფიკაცია.

შრომების სერია მიუძღვნა მეცნიერმა მშობიარობის შემდგომ ატონურ სისხლდენებს. მის მიერ დადგენილი საშვილოსნოს ელექტროაღჭვრება-ლობა საფუძვლად დაედო სისხ-

ლდენის შეჩერების მეთოდებს, ასევე ამ აზრით მის მიერ პირველად იქნა გამოყენებული მეანობაში მეპარინი შემადღებელი სისტემის კორეგირებისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს მუცლადმყოფი ნაყოფის მდგომარეობის დადგენის, მშობიარობის გაუტივარების მის მიერ შემუშავებულ მეთოდებს.

„ტრანსპორტირებული საკეისრო კვეთის“ ახალი მეთოდის, გამოიყენება შემდგომში პერიტონიტის განვითარებას. მასთან ჩატარებულია სამათასზე მეტი, მისი მოწაფეების მიერ ოც ათასამდე ასეთი ოპერაცია გართულების გარეშე.

ეს გამოკვლევები ფართოდ გამოიყენება პრაქტიკულ მედიცინაში, მასზე სწავლობენ სპეციალისტები.

პროფესორი ზურაბ ჭილაძე პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა, გამოირჩევა როგორც კარგი მასწავლებელი. მან მოამზადა რამდენიმე ასეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მის მოწაფეებს შორის მისი ხელმძღვანელობით 18 მეცნიერების კანდიდატი და 8 დოქტორია. გულისხმიერი, გამოცდილი კლინიციისტი ბრწყინვალე დახტაქარია, მრავალი უიმედო ავადმყოფის გადამრჩენი.

მეცნ. დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ზაალ კახიანი,
საპ. სამედიცინო აკადემიის
წევრ.-კორესპონდენტი, პროფესორი.

ვახტანგ გომორიშვილი,
საპ. მეცნ. აკადემიის წევრ.-კორესპონდენტი, პროფესორი.
ვახტანგ ფიფია,

კათედრის პროფესორი, საქართველოს ბავშვთა ფონდის მედიცინის ვიცეპრეზიდენტი იაპონიის უნივერსიტეტის საპატრიო პროფესორი ცია მერაბიშვილი.

მხატვარი თენგიზ სამსონაძე


ლალი მარტაშვილი

მე ის არა ვარ, ცოლ-ქმრის ჩხუბი მართალი რომ ეგონა, მაგრამ მოდი და ნუ გეგონება მართალი ამდენი დავიდარაბა და სიმწარე ოჯახში. ყველა თავის ჭკუაზე ღადის და უფროს-უმცროსობა არ იცის. არის ერთი წივილ-კივილი. თავიანთი ფეხით სთელავენ საკუთარ ნერვებს, არც მეზობელს აძლევენ მოსვენებას და არც ნათესავს. დღისით დაღრუბლულები დადიან და ღამე არ სძინავენ გულისძლით. დედ-მამას არ მოსწონს შვილების ქცევა და შვილები არ უჯერებენ დედ-მამას. რწალს არ უყვარს დედამთილ-მამამთილი და არც ისინი ვიყვებიან რძალზე. ოჯახის უფროსი ცოლს ეჩხუბება: შენი ბრალია, რაცა მჭირს, შენ ვერ დამიზარდე რივიანად შვილებიო. ვერ ასწავლე მომჭირნეობა და მეოჯახეობაო, უფროსის ხათრი, მოკრძალება და თავაზიანობაო. ახლა მე ვწერ ასე რბილად, თორემ ისეთი მწარე სიტყვებით ეუბნება ამას ცოლს, რომ გულზე ისარივით ხვდება ქალს მიზანში. ის კი ხან ითმენს, ხან გამოდის მოთმინებიდან და პასუხობს: შენ სახელად „მწარე“ უნდა გრქმეოდა, კაცის სახელი ვინ დაგარქვა, ერთი შენი მომნათლავი მაჩვენა, რომ სულ სათითაოდ დამეგლიჯა ბუწუწები თავზე. შე ჩემი ცოდვით სავსე, ერთი ტკბილი სიტყვა ამოუშვი პირიდან. სადაც „ოხერო“ გაქ, იქ „გენაცვალე“ აღარ გეშოვება? საიდანაც ბალდამი ამოდის, იქედან შაქარი აღარ ამოვიდოდა?

— ლაპარაკობ რაღა! მაშ შეიძლება შვილმა წყალსა და ღვარს გაატანოს თავის მონაგარი, ერთ შარვალში ამოდენა ფული ჩაყაროს და არცა ვთქვა? რა ენაღვლებათ, სხედან ეგა და მაგის ცოლი ჩვენს ზურგზე. ო-რას-ორ-მოც-და-ათი მანეთი, გეყურება შენ? ერთი მანეთი ოჯახში არ შემოუტანია, ერთხელ ერთი კილო პური არ უყიდნია და ამოდენა ფული შარვალში? ცოლს, რომ ირთავდა, ჩვენი იმედი ჰქონდა?

— რა გინდა, კაცო, ზოგზოგით უსაქმური ხო არ არი, ხომ მუშაობს, რა ქნას მეტი, პა! ეგ ახალგაზრდაა, შენ რომ არ გინდა ი ძვირიანი შარვალი, იმას უნდა, შენ თუნდა უფასოდ მოგცენ, არ ჩაიცმეგ. თუ უთოთი გატყეცილი არ არი ნაკეცზე, არ ჩაიცმეგ. იმათ კი ის უნდათ. შენ ხო არა გთხოვს ფულს, პა!





— მე რო არა მთხოვს, აბა ერთხელ ბაზარში წავიდეს და მოიტანოს რამე. რატომ არ ფიქრობს ოჯახზე, კაცო, პატარა ხომ აღარ არი. მუშაობს?! მერე რა ეტყოდა ჩვენს ოჯახს, რომ მუშაობს. მე აღარ ვიცი, როგორ გავაწვდინო ჩემი მონაგარი ოჯახს, ეგ კიდევ ვილადა ოხერს ერთი-ხუთად აძლევს ფულს ერთ შარვალში. წავიდეს, მოშორდეს აქედან. წაიყვანოს თავისი ცოლიც და დაეინახავ, როგორ იცხოვრებს.

— გიყი ხომ არა ხარ, კაცო. — ახლა კი აენთო ცოლი, ცეცხლივით აენთო. — სად უნდა წავიდეს. აქ მე ვილას ვუყურო. შენი მონაგარი ვილას ვაჭამო, პა! შენი შვილი ეგ არი, მიდი და გაავდე. შენი გადაგდებული ვილას უნდა? სიდედრს მიადგეს კარზე? სანამ დავზრდიდით, მშობლები ვიყავით და ახლა დავამთავრეთ ჩვენი სამსახური?

— ოჯახი მაგალითიათ, — არ ცხრებოდა კაცი. — აბა მაგან მე მნახა როდისმე, რომ ფული ვაჩუქე გამენიავებინა ბიჭებში და სახლში გაუგებრად მთვრალი მოვსულიყავ? ერთი კიბით დაუწია კაცმა ტონს — რით დავიწყეთ ჩვენ ცხოვრება, აბა გაიხსენე, გვჭონდა რამე? ორი თეფში. ერთი ხელი ლოგინი და ორი დიპლომი. იმდენი ვიშრომეთ, იმდენი ყაირათი გავწიეთ, სტუმარსაც გულსა და სუფრას არ ვაკლებდით, შვილებიც დავზარდეთ და ახლა, რომ იტყვიან, ქვაცა გვაქვს და კაკალიც...

მოკლედ, არ არის სიმშვიდე ამ ოჯახში. სანთლით საძებარია. თვითონ ვერ დაუშვარებიათ სიმშვიდე და თავისით კი არ მოდის. რომელ სიმშვიდეზე ვლაპარაკობ, სიმშვიდე კი არა, სიმწარეა დაბანაკებული ოჯახში, სიმწრის ეკალბარდი ისეა ბორჯაღმული, რომ არ ვიცი, რა ამოავდებს.

რძლის კმაყოფილი რომ არ იყვნენ დედამთილ-მამამთილი, ახლა რძლისთვის გეკითხათ! ის იქით იბღვირებოდა, რა ვნახე თქვენს ხელშიო. რა გავინარეო, ზოგი რძალივით ოქროს სამკაულებით შემამკვთ თუ რაო. მე საწყალი მთელს ჩემს ჯამაგირს ლატარიაში ვდებ და რაც ფული მერგება, ერთ კაბასა და ერთ წყვილ ფენსაცმელს ვიყიდი გადამყიდველისგან და ისიცა გშურთ ჩემთვისაო.

ისევ ის ჯინსისშარვლიანი ვაჟი იყო ჩუმაღ. თუ ფული ჰქონდა ჯიბეში, არ დააყენებდა. მეგობართა წრეში საუბარი ისე არ შეეძლო, თუ მაგიდაზე მცირე რამ და ერთი ბოთლი ღვინო მაინც არ იდგა. არადა, მადლობა ღმერთსა, იყო სახლში პური და წყალი. უგემურ ოჯახში დედა გემრიელ სადილს აკეთებდა.

— სულ დავიდარაბა შეიძლება, კაცო. — ეტყოდა ხოლმე ცოლი ქმარს დაბალ ტონში, როცა შვილი და რძალი შინ არ იყვნენ — ერთხელაც გაგვიჩნდება ნერვიულობისაგან რაღაც, დასწყევლოს ღმერთმა იმის სახელი, და დავიხოცებით უდროოდ, არადა, პა! ამოდენა დედამიწაზე ჩვენი ადგილი აღარ არი? ხალხი იმასა ცდილობს, გავმრავლდეთო და ჩვენ ძალად თავები დავიხოცოთ? ე ღალანა მზე ჩვენთვის აღარა ღალანებს? იმის მაგიერ რო შვილს დაუყენო საკითხი ოჯახის გამრავლების შესახებ, სახლიდან აკლეს გოგო-ბიჭებით სახლი საესე უნდა მქონდეს, პაპა, პაპაო აქეთ-იქიდან უნდა დაგძახოდნენ. მაშინ მაგრე აღარ ილაპარაკებდი. ერთი გასაცინარი თქვი რამე, ანე-

გდოტი თქვი. სანამ ახალგაზრდები ვიყავით, შენი ხუმრობა და კვიმატი სიტყვა გვამხიარულებდა ყველას. ახლა გვინდა მე და შენ სიცილ-ხუმრობა, ახლა, თორემ მაშინ ახალგაზრდობაც გვყოფნიდა. ან წაკითხული გვითხარ ან დანახული, სიცილი წამალიაო, არ ვაგვიია? რა დააბერებს ჩიჭოვანის ცოლს, იმისი ქმარი დასხამს ცოლ-შვილსა და ამღერებს. შენი მართო მწარე სიტყვა!

— მაშ გულში დავიფუხო ჯავრი, შენთან მაინც არ ამოვყარო გულიდან, სხვაგან ხომ ვერ ვიტყვი ჩემი შვილების ცულს. სხვას ხომ ვერ შემოვყარი ჩემს საღარდელს.

— ზოგჯერ ტკბილად უთხარ, მთვრალს რომ ეჩხუბები, რა ესმის, მეორე დღეს უთხარ.

— ერთხელ და ორჯერ მითქვამს, აი!

— კიდევ ეცადე, კაცო, ზოგჯერ ვითომ არ დავინახავს, ზოგჯერ ვითომ არაფერი, ზოგჯერ მოთმინება იქონიე, ხომ გაგვიგონია „ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“. მოდი, მომეცი მხარი, მოვინდომოთ და დავამყაროთ მშვიდობა ოჯახში. დავზარდეთ შვილები და დავიკრიფოთ გულხელი? ჯერ ხომ არ დავეარდნილვართ. დიდები არიან და აღარ ვჭირდებით?

— დედ-მამა ყოველთვის ჭირდებით შვილებს.

— ჩვენ სიკვდილამდე ვალში ვართ შვილებთან, მაგათ ურიგობაზე ხალხი ჩვენ მოგვთხოვს პასუხს. როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, ახლა ისინი იქნებიან ვალში თავიანთი შვილების წინაშე. მაშინ მაგათ აგონ პასუხი.

— ვაჰ, რა ქორწილი გადავუხადე! ქორწილის უნახავი გავხადე ხალხი, — უყვიროლად თქვა კაცმა.

— მერე გახსოვს, ჩემი დედამთილი

როგორ ჯავრობდა? შენ გაუგონე დედას? რა ამბავია, მტრის ოჯახში ხომ არა... ხელ რილათი უნდა გაახაროთ შვილები, გახსოვს, გედავებოდა. ჭამა-სმისას... სამ ჯანდაგი ცხვარივით დაეცა და ორსამ დღეს სამუშაოზე აღარ ვარგოდაო. შენ კი ეს სახელად მივაჩნდა.

როცა ქმარს სახლიდან გაიგულებდა. დედა შვილებს მიუბრუნდებოდა და უმტკიცებდა, რომ მამა ცამდის მართალი იყო და არაფერში არა ტყუოდა, ასე გაჯავრებული რომ იყო შვილებზე.

ეპილოგი

არც ისე ბევრ მამალს უყვილია და არც ასე ბევრ წყალს ჩაუვლია, რომ იმ ოჯახში დიდი სიამტკბილობა დამყარდა.

როგორ? გაიოცებთ თქვენ. მეც ასე გავოცდი, როცა ჩემი მისვლა გაუხარათაღ, როცა ღიმილით შემეგებნენ და როცა დავინახე, რომ ის მწარე კაცი სულ ენამოჩლექით ლაპარაკობდა, ალერსად იღვრებოდა. ფანჯრის რაფაზე ყვავილი ყვაოდა. დიასახლისი მხიარულ ფაციფუცში იყო, რძალს საშინაო კაბა ეცვა და ბოლიშობდა: გავრეცხავ რაღაცას და ახლავე გამოვალო. მერე კარზე ბრახუნი გაისმა; გახსნეს კარი „ოჯახისკაცობის გრძობამოკლებული“ ვაჟი მოსულიყო და ხელი ხელთ რომ არა ჰქონდა, იმდენი რამე ეჭირა ხელში, კარს ფეხით აბრახუნებდა.

რძალი დედამთილს დედას ეძახდა და მამამთილს — მამას. მულის სახელისათვის „კო“ მიემატებანა, ახლა ყველას სიყვარული სჭირდებოდა მას.

- რა მოხდა?
- ბავშვი გაჩნდა, ბავშვი!



ანუ

ათი ნორჩი ღესიანი ამერიკაში

ნუნუ გელაძე

spotlight on Youth
Asian student blazes exchange trail

trigonometry. Trapidze shared his first impressions of America in perfect English.

"It is more beautiful than I thought and Americans are great," the handsome, dark-haired aspiring diplomat beamed.

He especially enjoys cereal and baked potatoes, which Russians do not have. "He uses Frosted Flakes," said Becky.

But don't give him a sandwich, Lisl said. Bread is fine but, Russians strongly disapprove of putting anything between it.

Hosting foreign students is nothing new to the Jackson family. In the past, they have hosted students from Iceland, Japan, Germany and Taiwan. Kim said it helps her

to gain a better understanding of other countries, promotes peace and she hopes Trapidze will become "a friend for life."

Lisl, a former English as a second language (ESL) teacher, said she grew up hosting foreign people.

"We're very internationally-minded," she said. "We're all enrolled in a language program and the girls go to a language camp in Minnesota."

Wright said AFS, which exchanges students with 53 countries, has been working for years to establish an exchange with Russia.



ONE OF THE FAMILY — Konstantin Trapidze shows his host family a book on his hometown, Tbilisi, Russia. Trapidze will spend the next year living with Paula and Lisl Jackson and their daughters, Kim, right, and Becky, left, of Overland Park.

ოცდაათიანი წლების ერთი ამერიკული გაზეთი რჩევა-დარიგებებს აძლევს ყურნალისტებს: „წერე მოკლე და ლაკონური ფრაზებით; მოერიდე საქებად სიტყვებს და განსაკუთრებით ისეთებს, როგორცაა „საოცარი“, „ბრწყინვალე“, „დიდებული“...

და ასე უსასრულოდ.

ერთობ ძნელია ქართველისთვის უეპითეტოდ წერა. მით უფრო მაშინ, როცა თავად ამერიკული პრესა არ იშურებს საქებად სიტყვებს საქართველოს, უფრო ზუსტად ათე ქართველი გოგონასა და კაბუჯის მიმართ: „15 წლის საუკეთესო სტუდენტი“, „დიდებული ინგლისურის მცოდნე“, „ბრწყინვალე აკადემიური წარმატების მქონე“, „უმაღლესი შეფასების ღირსი“.

და ასე შემდეგ.

სამშობლოს ათი ღირსეული შვილი, ათი საუკეთესო თბილისელი მოსწავლე უცხოელ სტუდენტთა ორგანიზაციის მიწვევით გასულ ზაფხულს ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქში გაემგზავრა სასწავლებლად.

გულთბილად მიიღო ისინი ოკეანისგან და ქვეყანამ, შვილებივით ჩაიკრა გულში სტუმართმოყვარე ამერიკელმა ხალხმა. პრესა, რადიო, ტელევიზია, უამრავი ფოტოკორესპონდენტი დახვდა ყოველ მათგანს აეროპორტში.

ამერიკელ და საბჭოთა სტუდენტთა სამეცნიერო გაცვლითი პროგრამის მესვეურებმა თბილისელი წარგზავნილები

თავიანთ „ახალ მშობლებს“ მიაბარეს და სათანადო გასაუბრების შემდეგ უკლებლივ ყველა უმაღლეს სკოლებში გაამწესეს.

იმედი გაუმართლა თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს მისმა აღზრდილმა ნათია მუზაშვილმა. მან ურთულესი პროგრამა დასძლია მინეაპოლის კერძო სკოლაში, სადაც თვით ადგილობრივ სტუდენტებსაც კი უჭირთ სწავლა. როგორც თავად ნათია იწერება, ამაში მოსიყვარულე ამერიკული ოჯახი და რუსული ენის მასწავლებელი ეხმარება. „აქაური თბილი ხალხისაგან განსვავებით ამინდები ცივია, მაგრამ გარწმუნებთ, სანერვიულო არაფერი გაქვთ, უზრუნველყოფილი ვარ ყველა სულიერი და მატერიალური სიყვით“ — ამშვიდებს ანობლებს ნათია.

53-ე სკოლისა და ოჯახის ძირძველი ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე გამოდგა სიმონ ჯანაშია. მის მიერ ქალაქ ალტადენას სკოლაში შერჩეული საგნები — ცივილიზაციის ისტორია, ბიოლოგია, მათემატიკა, ინგლისური, ინფორმატიკა, ხელოვნება და სხვა ნათლად მეტყველებენ ამას. კაბუჯის მშვენიერ ინგლისურსაც აქებენ მისი ამერიკელი „მშობლები“ ფრენკ და კეროლ გრანტები, რომლებიც მარტო სწავლის საფასურად რამდენიმე ათას დოლარს უზდიან შვილობილს კერძო სკოლაში. გულისხმიერმა მშობლებმა უდიდესი სიხარული განაცდიდენეს შვილობილს სან-დევგოში გამართული ფესტივალის ქართველ მონაწილეებთან შეხვედრისას.

როგორც ამერიკელებმა იწინასწარმეტყველეს, ქალაქ კანზას-სითის უმაღლესი


სკოლის მე-12 კლასის წამყვანი სტუდენტ კოტე ტრაპიძე „საპატიო ხარისხით“ დაუბრუნდება თბილისის 53-ე სკოლას. ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა კინსტონმა პექტიული დიპლომატიკა კი უწოდა არა მხოლოდ დახვეწილი ინგლისურის, არამედ იმ რთული პროგრამის გამოც, რომელსაც კოტე ეუფლება: ამერიკის ისტორია, მსოფლიოს გეოგრაფია, ამერიკის მთავრობა, კომპოზიცია, საერთაშორისო ურთიერთობა, საბიზნესო ეკონომიკა, მათემატიკა...

კოტესა და მისი თანატოლების თვითმიზანი მარტო სწავლა არ არის. მათ კარგად იციან, რომ ამერიკა საქართველოს, ქართულ სულს ეცნობა თითოეული მათგანისგან, დესპანის საპატიო მისიაც რომ მიანდო მათ სამშობლომ. ამიტომაც კოტე ტრაპიძე არა მხოლოდ „საკუთარ დებს“ კომი და ბეკი ჯექსონებს ასწავლის წერა-კითხვას, არამედ სკოლაში ისტორიის მასწავლებლის თხოვნით საქართველოს ისტორიის ლექციებს უკითხავს თანატოლებს და ქართულ სიმღერებსაც აცნობს. მას შემდეგ, რაც კანზას-სითის მერმა იგი სტუმრად მიიწვია, იქაურმა პრესამ არაერთი სტატია გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების შესახებ.

55-ე სკოლელი თამარ მალრაძე კი ქართულ ენას თავის ისტორიის მასწავლებელს ასწავლის. მისი თანაკლასელი ზაზა ბიბილაშვილი მშობლებს ატყობინებს, ვისაც კი ჩვენდამი ინტერესის ნიშანწყალს ვამჩნევ, ვუამბობ ჩვენი ქვეყნის, მისი წარსულისა და აწმყოს შესახებო. ერთ ნიუ-იორკელ კაცს ქართული ანბანი და რამდენიმე ფრაზა შევასწავლე, ბავშვებმა „ვეფხისტყაოსანი“ მივართვით. ცოტა ხნის წინ მისგან წერილი მივიღე, ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ საქართველოშიო.

ზაზა ქალაქ ბუფალოში ბენეტის უმაღლესი სკოლის მე-12 კლასის სტუდენტია. როგორც ჩანს, იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა მასთან გასაუბრება, რომ მასწავლებლებმა, რომლებსაც თვითონ დიდი სიყვარულით ასხენებს, ურთულესი პროგრამა დაუნიშნეს: ინგლისური, რომელიც მოიცავს ენას, ლიტერატურას, კრიტიკას; აშშ ისტორია და მთავრობა, ასევე კონსტიტუცია, ეკონომიკა, გაძლიერებული ბიოლოგია, რომელიც შეიცავს ქიმიას, ფილოსოფიას, ფრანგულს... „ხედავთ, რა საგნები ამარჩევინეს, რა მეშველებს, ამათ გენიოსი ვგონივარ“ — ხუმრობს ზაზა. ანლა კი უკვე ცხადია, რომ არჩევანი სწორად გაკეთდა. „ასბალიან სისტემაში წარჩინების საშუალო მაჩვენებელი ოთხმოცდაათი გამოიყვანა. ასეთი შედეგი ჩვენთან ძალზე იშვიათია“ — ვკითხულობთ მომდევნო წერილში.

„ღეღი, ვიცი ძალიან გაგიხარდება ჩემს მიერ კომპიუტერზე დაპროგრამებული თავისუფალი საქართველოს დროშის ნახვა“ — წერს 53-ე სკოლელი ფარნა კახიძე დედას. თუმცა, ვიდრე ეს ნიჭიერი ყმაწვილი ამერიკაში კომპიუტერზე დაპროგრამებდა სამფეროვან დროშას, საქართველოდან ყველამ წაიღო იგი მფარველად და ნიშნად სამშობლოსადმი სიყვარულისა, სანუკვარი ოცნებისა, „მხოლოდ... არა ფუჭი სიყვარულისა, არა ფუჭი



ქართული კუთხე ამერიკაში



თამარ მაღრაძე თავის ამერიკელ მასპინძლებთან



სამშობლოდან გამგზავრების წინ



გიორგი ნოზაძე ამერიკელ „მამასთან“


კოტე ტრაბაიძეს აეროპორტში მთელი ოჯახი დახვდა

ქეთევან ცქვიტარია ახალ გარემოში





გივი
თორიძე




გივი
თორიძე

გივი
თორიძე



ნათია მუჯაშვილმა მამობრივი სიტბო მხოლოდ ამერიკაში იგრძნო...




ფარნა კახიძემ კომპიუტერზე საქართველოს დროსა დააპროგრამა.



ლაშა ჯანაშია პატარა სიმონთან და თამრიკოსთან
ნინო ფაჩულია და ქეთინო ცქვიტარია კემბრიჯში




ჭგუფის ხელმძღვანელმა სერგეი ფილანოვიჩმა ზაზა ბიბილაშვილი ამერიკულ ოჯახში მოინახულა.



ზაზას გამოსაშვები ალბომისათვის საგანგებო სურათი გადაუღეს

ნინო ცისკარიძე ამერიკელ „ღებთან“



ოცნებისა... ჩანს, დიდი ილიას ტრადიცი-
ებზე გაზარდეს მშობლებმა, მასწავლებ-
ლებმა. ქართველი ყმაწვილების უცხო-
ობაში გაუსაძლისობას ძლევს რწმენა,
რომ ისინი სჭირდება საქართველოს, სუ-
ლით ხორცამდე ეკუთვნიან ქვეყანას.
„როცა ვინმე გვეკითხება, საიდან ხარ-
თო, ვუპასუხებთ „ბედნიერი ვარ, რომ
ვარ ქართველი საქართველოდან“ — წერს
ნინო ფაჩულის, 161-ე სკოლისა და ქა-
ლაქ პავერფოკის უმაღლესი სკოლის
სტუდენტი. როგორც ამერიკული პრესი-
დან ვიგებთ, ნინო ადვილად შეეთვისა ახ-
ალ გარემოს, ამაში ხელი შეუწყო მისმა
ბუნებრივმა უშუალოდ და ხასიათთა ურ-
თიერთშეხამებამ. თუმცა ამერიკელ კო-
რესპონდენტს ჰპირდება — უმკველად და-
ვებრუნდები ამერიკაში, დედისადმი გა-
მოგზავნილი წერილის ბოლოში კი წერს:
„ვამთავრებ წერილს, როგორც გვჩე-
ვია, „ქართველ ამერიკელებს“. გაუმარჯოს
საქართველოს, გაგვიმარჯოს ჩვენ, ჩვენ-
თან არს ღმერთი!..“

მართლაც ღვთის მადლი უნდა ერიოს,
როცა 15 წლის ყმაწვილი კაცი სწავლის
პირველი დღეებიდანვე ერთ-ერთი საუ-
კეთესო მოსწავლის სახელს იმსახურებს.
სასწავლო წლის პირველსავე დღეებში
წერით ნამუშევარს ინგლისურ ენაში მა-
ლალ დონეზე ასრულებს. „გიორგი დუგ-
ლას და კაროლინა მინერების ოჯახში
„მესამე ვაჟიშვილია“. კეთილშობილები-
თა და სიღარბისლით ცნობილი ეს ოჯახი,
მოსიყვარულე ბებია და პაპა, ძმები შესა-
ნიშნავ პირობებს უქმნიან ქართველ მოს-
წავლეს... „გიორგი ქ. ორლანდოს სკო-
ლაში ეუფლება საგნებს, რომლებიც აქ
უმაღლესი სასწავლებლის დონეზე ისწავ-
ლება. იმედია, იგი კვლავ არაერთხელ მო-
უტანს სიხარულს თავის სამშობლოს“,
წერს 55-ე სკოლის მოსწავლის გიორგი
ნოზაძის შესახებ იქაური გაზეთი.

მათი წერილები მათივე სულის სარკეა.
მაგრამ ერთგვარი მეგზურიცაა ამერიკა-
ში. ქართველების მსგავსი სტუმართმოყ-
ვარობა თუ ვინმემ იცოდა, არ გვეგო-
ნათ. „დედი, ამერიკელები უფარესად კე-
თილი ხალხია, ისე მიმიღეს, როგორც სა-
კუთარი შვილია. ვფიქრობდი, როგორ ვი-
ცნო ჩემი მასპინძლები-მეტიქი. ჩამოვე-
დი თუ არა თვითმფრინავიდან, თვალში
მომხვდა დიდი ტრანსპარანტი „კეთილი
იყოს შენი ჩამოსვლა, ფარნა! მთელი ოჯ-
ახი მხვდებოდა, გაღიმებული და გახარე-
ბული“. ეს ავანსად გაღებულ ღიმილი და
სიხარული იყო. ფარნას წარმატებებით გა-

მოწვეული სიხარული კი დღეს უფრო
ნაღდი და წრფელია.

161-ე სკოლელი ნინო ცისკარიძის წე-
რილებში ხუმრობანარევი ტონით შება-
რული სევდა იკითხება. ახლობლებს არ-
წმუნებს, არ მენატრებით, ისე კარგად
ვგრძობ თავსო და ემუდარება, თქვენი
სურათები გამომიგზავნეთო. ჩემი „დედ-
მამა“ ძალიან, ძალიან მომწონს. მყავს 13
წლის „მმა“. 11 წლის „და“, 6 წლის
ტყუბი გოგო-ბიჭი, ყველა მე შემომცი-
ნებებს, ასე რომ ყველაფერი რიგზეა!“
და განა მარტო ოჯახში, ნინოსთან სკო-
ლაშიც „ყველაფერი რიგზეა“.

ქ. კონკორდის უმაღლესი სკოლის სტუ-
დენტის ქეთილი ცქვიტარიას ინტერესთა
ფართო წრის დამადასტურებელია მისივე
სურვილით შერჩეული მრავალმხრივი და
საინტერესო პროგრამა. მის საოცრად ფაქ-
იზ და პოეტურ წერილებში, ყოველ სტრიქ-
ონში რომ ეფერება მშობლებს. ბებია-ბაბ-
უებს, ამერიკელ დებსა და ყვავილებსაც კი,
ჩანს საოცარი მაღლიერების გრძობა ამე-
რიკელი „დედ-მამისა“ და ოჯახის წევრე-
ბისადმი. „ყველანი გადასარეგები არი-
ან“... უკვე ხუთი ქალაქი მომატარეს. ჩემს
სიცოცხლეში არასოდეს დამავიწყდება აქ
გატარებული დრო“...

„უნდა გავამართლო სკოლის, განათ-
ლების სამინისტროს, თქვენი იმედები“
— წერს მშობლებს 55-ე სკოლის მოსწავ-
ლე თამუნა მალრაძე.

მისი „ამერიკელი დედის“ წერილი კი
ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ თა-
მუნა მართლაც ღირსეულთა შორის ღი-
რსეულია: „თამუნა ძალიან ადვილად
ძლევს საგნებს, ამბობს, რომ ჩვენს სკო-
ლებში სწავლა საინტერესოცაა და სასიამო-
ვნოც. მე და ჩემი მეუღლე უზომოდ ბე-
დნიერები ვართ, რომ თამარი ჩვენს ოჯა-
ხშია. იგი ძალიან განათლებული და ტა-
ქტიანი გოგონა“

მართლაც გონიერი და დაკვირვებული
თვლით აფასებს თამუნა ამერიკელთა
ყოფას, მათ ხასიათსა და წეს-ჩვეულებ-
ებს: „ამერიკელები ძალიან თბილი და
ემოციური ხალხია, გაგაოცებთ მათი თა-
ვაზიანი და ყურადღებიანი ურთიერთდა-
მოკიდებულება. ჩემმა „მშობლებმა“ ისე-
თი გარემო შემქმნეს და ისე მექცევიან,
თავიანთ ქალიშვილში არ მარჩვენ. შე-
ვეჩვიე „ალთა-ჰაის“ უმაღლეს სკოლასაც.
დავეუმეგობრდი თანატოლებს, მასწავლე-
ბლებსაც...“

ამას წინათ თამუნას მშობლებმა ტე-
ლეფონის ხაზით სასიამოვნო ამბავი შე-

Soviet teen arrives in S.L. to begin year of learning about U.S.

By Victoria Schulz

Sheep the controversy stirred by the recent election of a Soviet student to a Soviet newspaper is now in Utah preparing to begin school.

The 15-year-old Tamara Magradze, who was met this week at the Salt Lake International Airport by a platoon of photographers and reporters.

The other foreign exchange students — Terry from Ecuador and Sonia from West Germany — arrived with her.

The special attention was focused on Magradze, who is from Tbilisi in the Soviet Republic of Georgia, because she is one of 20 young women in the first group of Soviet high school exchange students ever allowed to come to the United States.

Terry Bonner, first student released directly by the American Field Service exchange program, said the Salt Lake APS officials are excited to have one of the first students in

Utah. Magradze will live this year with Dennis and Sandra Sizer and their 15-year-old daughter, Annette, in Sandy and will attend Alta High School. One of the requirements for an area to host a Soviet student was to have a high school that offers a Russian program, so the choice in the Salt Lake area were Alta, Highland and Highland and Jennifer.

Magradze, who's never before but her country, didn't have time to form any impressions of Utah Wednesday before taking to reporters. But she said that before coming, she'd been told only that Sandy is close to the mountains.

"They told me that it is very mild," she said as she walked out of the airport into the chilly autumn air. Annette Sizer assured her there will be plenty of snow for skiing this winter.

Magradze said she and other exchange students from around the world spent a few days of orientation in New York before going to their respective cities.



Tamara Magradze

"I was a very successful student. I was doing dancing, playing musical instruments."

Asked about American food, though, she grinned and acknowledged it was hard to get used to. "I can't eat."

The Georgian teenager said she's happy for the chance to study in the United States. "I want to be near with the American people. I want to know their culture, their lives."

Although she's not sure yet what career she'll eventually pursue, "I want to know English well," she said, "because after school I want to take an examination to the university of foreign language."



Beacon

Iron Mass, Pennsylvania, 1980 October, 1980

SHIPLEY PROUDLY WELCOMES SOVIET EXCHANGE STUDENT

Enthusiastic sophomore Ninko Pachuta is an American Field Service exchange student from the Georgian Republic of the Soviet Union. Though Shipley has been fortunate enough to host many exchange students over the years, Ninko is the first from the U.S.S.R.

Ninko, who hails from the Georgian capital of Tbilisi, is spending her year in the United States at the home of senior Megan Peterson. Ninko has found the Petersons to be nothing but hospitable, and she says, "I love Megan as my sister." Ninko has also formed a close relationship with Shipley Russian teacher Cheri Ely, who acts as her advisor.

"I like the people at Shipley very much," says Ninko. "The teachers are friends with me, and the students are too. Shipley is a very good school." Though Ninko has made many friends and is enjoying her time at Shipley, she says it is still difficult to be away from home. She misses her family, especially her mother, who is a teacher.

Shipley I have classes with people of all different grades.

Ninko has especially enjoyed the courses she has taken in biology and Georgian history, and she is putting the skills she has learned in her English classes to use in the U.S. She plans to become a doctor, so she will be spending five or six years of rigorous study in the university after she finishes high school.


Though Ninko's nationality is different from ours, her likes are just everyone rather than onto the Tbilisi students to celebrate the occasion. "Everyone is laughing and happy, and there are big fireworks. I love New Year's!"

One of Ninko's favorite things about America is that she cream. Ninko loves all kinds of ice cream, and she says that she eats it frequently both in the United States and the U.S.S.R. "Ice cream is my food," she says with a laugh. Ninko has found that she also likes the people of





What a country: Georgii shows his class schedule to Betsy Barber, 16, as Cristina Calcagno, 17, watches in English class.



საიდუმლოებულია, რადგან მათზე პირდაპირი სიმართლის თქმა შეუძლებელია.
გალაკტიონის 1921-1925 წლებში სტრუქტურულ თვისებებზე დაკარგული ქვეყნის კენესა ისმის:

შეხვედრები კლდეები კლდეებს,
იქ ვილაკ კენესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ — მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ამირანია!..
ეგ მძაფრი კენესა მიწამლავს ღლებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია?“ — მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია.

ამირანი XIX საუკუნიდან გადმოსული სიმბოლოა საქართველოსი. ამავე ლექსში სტრიქონი: „ღარიალიდან ზარავდა ზარა!“ ამ პერიოდში დაიწერა: „ბრძოლისგან დაღლილი სახე და ტყვია ჩამჯდარი თავში“. ამ დროს ითქვა: „შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია“ და გაჩნდა სისხლიანი ანგელოსის სახე: „დავდგეთ იქ, სადაც ქარი-შხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი“.

1924 წელს აკრძალულ იქნა ჟურნალ „მნათობის“ მე-10 ნომერი, რომელშიაც დაბეჭდილი იყო გალაკტიონის პოემა „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“. აკრძალვის მიზეზი სწორედ ეს ნაწარმოები გახლდათ. მასში შემზარავი სახითაა დახატული რევოლუციის სისხლიანი სტარტი, რომ „რესპუბლიკა მოვიდა სისხლით, ტერორით“. „ქვეყანა სისხლით რომ მოირწყება, ეს ნათელია“;


რბის ორი ძალი: მათ ისტორია ვერ დააფეთებს. პირიდან გლჷვენ ერთი-მეორეს ხორცის ნაფლეთებს. და მთელი კვირა სადგურის იქით მატარებელი იდგა. შიგ მკვდრები ეყარა რიგით უფარებელი.

ლექსი „ვეფხვი კასპიის პირად“ 1924 წლის კახეთის ამბოხების გამოძახილია. აჯანყებამ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად მთელი-საქართველო მოიცვა, კახელთა შეიარაღებული რაზმები ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით თბილისის ასაღებად დაიძრნენ: „გზაზე მსხვერპლისა რიცხვი ელვარება კილის და იღუმალი რისხვით უახლოვდება ტფილისს“. ეს ლექსი 1927 წლის კრებულში დაიბეჭდა. დაწერილი უნდა იყოს 1925 წელს. ვეფხვი — მეტაფორაა ამ აჯანყების მეთაურის ქაქუცა ჩოლოყაშვილისა.

გალაკტიონის თხზულებათა გამომცემლებს ლექსი დათარიღებული აქვთ 1922 წლით და უკავშირებენ აზერბაიჯანიდან საქართველოში გადმოხვეწილი ვეფხვის მოკვლას. ეს ფაქტი მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული საბაბი შეიძლება ყოფილიყო პოეტისთვის, რათა შენიღბული სახით უფრო არსებითი და მნიშვნელოვანი ეთქვა.

1937 წლის ოდისეამ ასახვა ჰპოვა გალაკტიონის ლექსებში „უკანასკნელი მატარებელი“ და „მოწმეა რბევის და თარეშის“. ორივე ლექსი პოეტის გარდაცვალების შემდეგ იქნა მიკვლეული.

„ბინდბუნდი საზიზღარ რკინიგზის სადგურის აგზავნის სადღაცა კუბოებს — ვაგონებს... და მათი კვილი ლიანდაგს ჩაება“... საყურადღებოა, რომ ამ სტრიქონებს ერთ ავტოგრაფულ ხელნაწერში 1924 წლის თარიღი უზის და იწვევს ასოციაციას იმ ვაგონისა, რომელშიც 1924 წელს შე-



აკაკი ხინთიბიძე

დღევანდელ ვითარებაში, როცა ახალმა ეროვნულ-პოლიტიკურმა სიტუაციამ ყველა და ყველაფერი მოიცვა, ლიტერატურული მოვლენების შეფასება ძველი სტერეოტიპული მეთოდებით აღარ შეიძლება. ღირებულებათა გადაფასება კრიტიკასა და ლიტერატურისმცოდნეობაშიც უნდა მოხდეს და ხდება კიდევ. ვბეჭდავთ აკაკი ხინთიბიძის წერილს, სადაც დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება სწორედ ამ თვალთაა დანახული.

რაც დრო გადის, მით უფრო მძაფრი და მიმზიდველი ხდება გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო, მით უფრო იზრდება მკითხველთა ინტერესი მის მიმართ. მოდინ ახალი თაობები და ახლებურად შეფრაგენ პოეტის ურთულეს მეტაფორებს, ახალი ნეტარებით გრძნობენ და აღიქვამენ მის გენიალურ სისადავეს, ახალი შთაგონებით უსმენენ მისი ლექსის მომაჯადოებელ მუსიკას.

მარადიულია გალაკტიონი. პირველი წიგნის გამოცემის შემდეგ (1914 წ.) ავტორი ერთბაშად ახალი პოეტიკისკენ იღებს კურსს, ეუფლება თვისებათა გადატანის ხელოვნებას, მაღლდება გარემომცველ სინამდვილეზე, შორდება ემპირიულ სამყაროს, მიწიერ სამყოფელს. ისე რომ თვალი ლაქვარდებში მოსრიალე ანგელოზებისკენ აქვს მიპყრობილი, ხოლო ყური — ქვეყნის ტკივილისკენ.

პოეტი სამყაროს ცენტრში დგას. ისიც ესმის, მის გვერდით როგორ „შრიალებს ჭაობი ჭყვიშის“ და ისიც, ოცნებათა სამყაროში როგორი „გრგვინვა-გრიალით ჰქრიაან ლურჯა ცხენები“.

ბუნების დრამატული განცდა („თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი, ატმის რტოო, დაღალულო რტოო“) აბობოქრებული, დალუპვის პირად მდგარი კაცობრიობის ბედის

ტრაგიკული განცდიდან მომდინარეობს. ლექსიდან ლექსში გადადის შეშფოთებული ამოძახილი: „ჩუმიდ მსოფლიო“, „მსოფლიო წყნარად“. ეს გრძნობა უფრო კონკრეტული და უშუალო ხდება, როცა მსოფლიო ორკესტრში საქართველოს სიმი ჩაერთვის...

პატარა ქვეყანას თავისი დიდი ისტორიის მანძილზე იშვიათად თუ ჰქონია მოსვენებული ცხოვრება, მაგრამ მისი უკეთესი შეილები გმირული შემართებით უმკლავდებოდნენ მტერს.

ახალ ისტორიაში გმირმა დაპყარვა საბრძოლო ასპარეზი, ლექსს „იოველიადას“. რომელიც განზრახული პოემის ნაწყვეტი უნდა იყოს, ჰყავს პერსონაჟი — იოველი, რომლის გმირულ ბუნებას აზნობს პატარა ქვეყნის ვიწროდ შემოფარგლული საზღვრები, მისი მოღუწებული ცხოვრების რიტმი და იწყება გმირის იოველიადა: „ობრავდა გმირი, კენესოდა გმირი, ბორგავდა გმირის ცხოვრების შარა“. მის დაუცხრომელ, მებრძოლ სულს აღიზიანებს და საბოლოოდ აჩლუნვებს „უნმარად მყოფი ჯაჭვი, ჯავშანი, ხმალი და თოფი. და ეხლაც, ეხლაც დადის ამ ქვეყნად, როგორც აჩრდილი და ავადმყოფი“. უძლურსა და უსასოოს კენესა-გოდების მეტი აღარაფერი დარჩენია: „ქვეყანაც მცირე, ცხოვრებაც მცირე, და-ჩიქ, იტირე! იტირე, ნანა“.

ასე დაახასიათა გალაკტიონმა უახლესი პერიოდის საქართველოს ხელფეხშებორკილი, მხოლოდ პოტენციურად არსებული გმირის გაუქმებული ვაჟაკობა.

პოეტის ფიქრი და ოცნება საქართველოს სწორედ ამ უგმირო ისტორიას დასტორიალეს თავს და ყველა ტრაგიკული თარიღი, იქედან მოკიდებული — „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია“, თავისებურ სტილში აქვს გააზრებული და გამოხატული. თუ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის განცდა პირდაპირი და სახელდებითია, მომდევნო სისხლიან თარიღებზე საუბარი (1941-1945 წლების გამოკლებით) სიმბოლური და გა-

პყარეს იმერეთის თავადაზნაურობა და სადგურ შორაპნის ახლო ტყეებით დაცხრილეს. ადამიანთა სისხლი წურწურით ესხმოდა ლიანდაგს.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: 1955 წელს გალაკტიონი მიუბრუნდა თავის ადრინდელ, 1940 წელს გამოქვეყნებულ ლექსს „სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“. ახალ ვარიანტში, რომელიც გაცილებით უფრო ვრცელია, ნათლად გამოჩნდა 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლის, პოეტის მეუღლისა და მეგობრის — ოლია ოკუჯავას სახე: „კისკასი მგზნებარე, ცრემლები მღუღარე, იმ გენიალური, ბრწყინვალე, მწუხარე თვალების ნათება, იღუა მქუხარე, სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“.

ამჟამად ხდება, რომ ადრე გამოქვეყნებული ლექსის სტრიქონები: „და სხივი, რომელიც სარკმელთან გამრუდდა, სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“, გადატანითი აზრით, ოლია ოკუჯავას დაპატიმრებასა და გადასახლებას გულისხმობდა.

1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის გამოძახილი უნდა იყოს ლექსი „რისთვის მაგონებ“. დავაკვირდეთ სტრიქონებს: „ცრემლებს დადენილს მძაფრი ახალგაზრდობის გამო“, „ცოდვებს ჩადენილს... ახალგაზრდობის გამო“, „აქ ხმაურობდა ტალღა ახალგაზრდობის გამო“, „ის ვაზაფხული გაპქრა“ და სხვა. ლექსი 1957 წელს გამოქვეყნდა და მკითხველები მაშინ აშკარად ვგრძნობდით მის ფარულ შინაარსს.

ამ ლექსთან ორგანულ კავშირშია, შეიძლება მისი ვარიანტიც იყოს, პოეტის სიცოცხლეში გამოუქვეყნებული ერთი უთარილო ლექსიც „ნავი არ უნდა გასწირო შენი, ზღვათა მიდამოვ, ახალგაზრდობის გამო, ჩადენილ ცოდვათა გამო“, ანდა: „არემი-დამოვ, შვილი არ უნდა გასწირო შენი“.

ამრიგად, შენიღბული ფორმით, კოდირებული სახეებით, გალაკტიონი ეროვნულ განსაცდელში ყოველთვის თავის ხალხთან იყო, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ „ლირიკული განდგომის“ მიუხედავად, ვერც ერთი დიდი შემოქმედელი ვერ დარჩება „დროის, ეპოქის და სივრცის“ გარეთ.

1956 წლის 9 მარტის ტრაგედია ისე, როგორც 1989 წლის 9 აპრილისა, ცენტრში გაცემული ბრძანების გარდა, ადგილობრივ ხელისუფალთა დანაშაულებრივი უგერგილობის შედეგად იყო. იმის ნაცვლად, რომ მომიტინგეებთან და დემონსტრანტებთან უშუალო კონტაქტი დაემყარებინათ, მღელვარების დღეებში თათბირებსა და სხდომებს იყენებდნენ გადაყოლილნი. სწორედ 1956 წლის 9 მარტს გალაკტიონს მოსაწვევ ბარათზე წაუწერია: „დღეს სხდომა, ხვალ სხდომა, სულ სხდომა, სულ სხდომა. ეს არის სულსხდომა“. როცა ეს კალამბური იწერებოდა, ალბათ ტრაგედია ჯერ არ დატრიალებულიყო, იგი გვიან საღამოს დაიწყო, მაგრამ, როგორც ჩანს, პოეტის გულმა წინასწარვე იგრძნო ეს სულსხდომა. მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში

პროკლამაციასავით ვრცელდებოდა გალაკტიონის პირად არქივში ნაპოვნი ლექსი: „რაა მასზე გულდამწყვეტი, მეტეზო და დიღმის ველო, მიდიოდე და ჰფიქრობდე: ეს არ არის საქართველო“. ლექსის უთარილოდ გამოქვეყნება არ შეიძლებოდა, რადგან წიგნაკს, რომელშიაც იგი ჩაწერილი იყო, დასტამბვის თარიღი აქვს: 1956 წელი. ლექსი ამის შემდეგაა დაწერილი და პოეტის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნაწარმოები უნდა იყოს. და როგორც ვ. ორბელიანი თავისი სიცოცხლის მიმწუხრს ამბობდა: „დაემხო ჩემი სამშობლო“, როგორც მოხუცი აკაკი იმედწარვეთილი ეთხოვებოდა თავის ქვეყანას: „მე მივდივარ, შენც მიდიხარ, გეთხოვები საქართველო“. ისე გალაკტიონიც იმ მწარე ფიქრით ჩავიდა სამარეში, რომ საქართველო საქართველო აღარ იყო. მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე გულდამწყვეტი, საქართველოში დადიოდე და ფიქრობდე: „ეს არ არის საქართველო!“.

გალაკტიონი იმ ეპოქაში მოღვაწეობდა, როცა ყოველგვარი ძველი, განურჩევლად მისი ღირსებისა, ინგეროდა და ნადგურდებოდა, მაგრამ მის პოეზიაში ამ ნგრევის ხმაური არ ისმის. ცხოვრების ხმაური ისე ასხლტება ზოგიერთი პოეტის გულის ფიცარზე, როგორც თოფის გრილი სალკლდეზე და მძლავრ ექოს გამოსცემს, მაგრამ არიან პოეტები, რომელთა რაინდული სულის მგრძობიარე ქსოვილები უხმაუროდ ისრუტავს ეპოქათა ქარტეხილებს და საკუთარ ტკივილად აქცევს. ეს სულიერი ტკივილი, გარდატენის სისხლიანი ეპოქებით აღძრული, გალაკტიონმა შესანიშნავი ხელოვნებით გამოხატა თავის ლექსებში.

სამყაროს ცენტრში მდგარი პოეტისთვის, ცხადია, უცხოა ყუთხური პარტიკულარიზმი, რომელიც დღესაც ღრღინს საქართველოს ხერხემალს. მისთვის ერთიანი და განუყოფელია საქართველო — „ლიხს იქით და აქეთ“, ერთნაირად ძვირფასია თბილისი და ქუთაისი, ალაზნის ველი, გურიის მთები თუ ოქრო აჭარის ლაყვარდი. „მშობლიური ჩემო მიწავ“ სრულიად საქართველოს ჰიშნია.

ზოგადკაცობრიულიდან მომდინარე ეროვნული განცდა, როგორც მისი ორგანული ნაწილი, ისევე ზოგადკაცობრიულს უბრუნდება. ომებს, რევოლუციების ქარიშხალმა, რომელმაც „უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“, დაარბია ადამიანის სული, საფრთხე ემუქრება სიცოცხლეს — სამყაროს ყველაზე უდიდეს მონაპოვარს. „ატმის რტო“, „მზეო თიბათვისა“ და „მას გახელილი დარჩა თვალები“ შემფოთებული წუხილია ადამიანის ბედზე.

... თიბათვის თაკარა მზე, ცისა და მიწის მძახნებელი, მზე ღვთაება, რომელსაც წარმართის გულმხურვალე ლოცვით ევედრება პოეტი, რათა განსაცდელისაგან დაიფაროს იგი, ვინც უყვარდა, თავად მიიცვალა უმწეო და საოცარი გარდაცვალებით.

მზის ჩასვლის ჩვეულებრივი სურათი პოეტის რთულ, მრავალსაფეხურიან წარმოსახვაში ასეთ სახეს იღებს: მზე უცხო

მხარეს გარდაიცვალა და გახელილი დარჩა თვალები. სიმები უეცრად სწყვეტენ სიცოცხლს. ცივი და გახელილი თვალები ტანჯვით უსმენენ საღამოს გლოვის ზარს. და ეს ჩუმი გალობა სერაფიმებისა, როგორც შემწყდარი სუნთქვის ფლონობა, გადასულია მარადიულ მწუხარებაში — „წამების წყნარი წარმავლობა“, რომლის ბგერათა მინორული ჰარმონია აძლიერებს და ამძაფრებს დრამატიზმს. ლექსის სათაურში გატანილი ცენტრალური სტრიქონის მრავალგზისი განმეორებით კი მოგონება ძვირფასი შეკვრისა, რომელიც უცხო მხარეს გარდაიცვალა და გახელილი დარჩა თვალები, ზოგად ტრაგიკულ ფორმულად იქცევა.

სულის გადარჩენის გზა სვეტიცხოველისაკენ მიდის, „იქ, სადაც ლოცვა და ზარებია“. ამ დარღვეული სამყაროს გამთლიანების ერთადერთი საშუალება არის ქრისტიანული რწმენა. ჩვენს საუკუნეს გალაკტიონზე ღვთისმოსავი ლირიკოსი არ ჰყოლია. სწორედ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილს უნდა ეთქვას ეს ღვთაებრივი სტრიქონი: „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ“.


სადაც ღმერთია, იქვეა სიყვარულიც, გალაკტიონისეული, სამრეკლოს ზარივით წმინდა, ჰაეროვანი სიყვარული. ნესტანისა და თინათინის შემდეგ ქართულმა სატრფიალო პოეზიამ არ იცის მერის ტოლფასი სახელი. ეპოსის სიუჟეტში ჩართულ გეფხისტყაოსნის ქალებს გალაკტიონის მერის ლირიკული პროფილიც ამშვენებს.

მაგრამ სიყვარული, რომელიც უნდა ამსუბუქებდეს ცხოვრების სიმძიმეს, გალაკტიონისათვის ისევე მძაფრი და დრამატულია, როგორც თვით ცხოვრება. პოეტის სატრფიალო ლირიკას ცისფერ ზოლად გასდევს — „მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის და სიყვარულის ასე მოთმენა“. მისი ტანჯვა ტრაგიკულ ფინალამდეა მისული: „არის ამქვეყნად სიკვდილი ქალით“.

ტრაგიკული იყო როგორც შემოქმედება, ისე ცხოვრება გალაკტიონისა. მრავალტანჯული ერის შვილს, ალბათ, არც ჰქონდა უფლება, გალაკტიონი კაცის ცხოვრებით ეცხოვრა. მაგრამ იმ ფასდაუდებელი ღვაწლის სანაცვლოდ, რაც მან ქვეყნისთვის გაიღო, იმ დიდი ესთეტიკური სიამოვნების საზღაურად, რის გამოც არაოფიციალურ წრეებში პოეტთა მეფის გვირგვინი დაიმსახურა, ოფიციალურ ხელისუფალთაგან

„ერთი გაღიმება“ არ მიუღია, თუ არ ჩავთვლით კონიუქტურული მოსაზრებით გამოწვეულ ზოგიერთ „წახალისებას“, რაც ანკარა და სპეტაკი სულის პოეტს აიძულებდა, დროდადრო ყალბი ლოზუნგები გაეღებინა (ესეც ტრაგედია იყო მისთვის!).

ოთხი ქართველი მწერლის მოწამებრივ სიკვდილს, რომელიც ჩვენს ახალ ისტორიაში წარუშლელ ლაქად დარჩება, გალაკტიონის თვითმკვლელობაც უნდა მიემატოს. ოღონდ იმ სხვაობით, რომ მისი არა მხოლოდ სიკვდილი, თვით სიცოცხლაც მოწამებრივი იყო.



გაქცევა მასთან ერთად. ამისათვის კი საჭიროა ცხენი.

ცხენი ეყოლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს მოკლავდა.

და აი. ამის შესაძლებლობა მიეცა გაზაფხულზე, როცა გარშემო ყველაფერი სხვა-ნაირი ხდება. ამ დროისთვის მას უკვე შეეჩვივნენ. ინდიელები თეთრ კაცს რაღაც სათამაშოს მსგავსად თვლიდნენ. სამ ახალგაზრდა ინდიელთან ერთად, გარეულ ფრინველზე ნადირობდა. თანაც ინდიელები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს.

კურდღელი და ფრინველი არ ითვლებოდა ნადავლად (სოფელში საკმარისად ჰქონდათ კამეჩის ხორცი). მაგრამ შესანიშნავ სამიზნეს წარმოადგენდა სასროლად.

იმ დღეს შორს წავიდნენ. ყველამ ერთად შენიშნა, ღრმა ხევში მიმალული ორი ცხენი. ბიჭები და ტყვე გაცოცდნენ წინ და მალე დაინახეს ინდიელი. მიწაზე იწვა და კვნესოდა, ეტყობოდა, მარტო იყო. დაინახა, რომ ინდიელები ენერგიულად გაცოცდნენ მისკენ. კაცმა, მეტსახელად ცხენმა, იგრძნო, დაჭრილი ინდიელი ადვილი ნადავლი იქნებოდა — ის ხომ მოწინააღმდეგე ტომიდანაა.

ტყვემ თავის ახალგაზრდა თანამგზავრებზე ალბათ წამის მეთაფით ადრე ესროლა დავარდნილ ინდიელს და პირველი გავარდა ჯერ კიდევ მკვნესარე ველურისაკენ, რათა პირველი მიეყენებინა მომაკვდინებელი დატყვემა. შემდეგ ის, თეთრი კაცი, დაეპატრონა ცხენებს.

სანამ ცხენებს საბმელიდან ხსნიდა, ბიჭები ერთმანეთში ჩხუბობდნენ, ყვიროდნენ. ერთმა მათგანმა კი მოკლულს სკალში ახადა. ყმაწვილს, რომელმაც სკალში ახადა, გული აერია. თეთრმა ტყვემ კი სევდიანი სიამოვნება იგრძნო ამის დანახვაზე.

ბანაკში დიდი ხმაური ატყვია, როცა სალამოთი ისინი ცხენებზე ამხედრებულნი დაბრუნდნენ. ტყვეს ყურადღება მიაქცევს. ინდიელები, რომლებიც ვერც ამჩნევდნენ ადრე, ახლა მას უყურებდნენ, როგორც მამაც მამაკაცს, რომელმაც პირველმა მოკლა მტერი და დაეპატრონა მის ცხენებს.

ხმაური მთელ ღამეს არ შეწყვეტილა. მამები შვილების გულადობით ტრაბახობდნენ. თეთრ ადამიანს თხოვეს, გადაეჭრა მისი ორი თანამგზავრის დავა, რომელთაც ვერ გადაეწყვიტათ, ვინ ისროლა მეორედ და ვინ მესამედ.

უნახავს მრავალჯერ წინა დღეებში, როგორ მხიარულობდნენ მეომრები და კარგად იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა. თავმდაბლური დუმილის ფასი არ იცოდნენ კროუს ტომის ინდიელებმა. თუ მამაკაცი რაიმეში გამოიჩინდა თავს, ამის შესახებ ამაყად ლაპარაკობდა.

მოიხატა სახე ცხენითა და ნახშირით, გამოვიდა სოფლის ცენტრში და ხმამაღლა დაიწყო სიმღერა ინგლისურ ენაზე:

— ეი, თქვენ, ველურებო! როდისმე გავალწევ მე აქედან! გავალწევ!
ინდიელები პატივისცემით უსმენდნენ მის სიტყვებს. კროუს ენაზე კი ის გაპიოდა:

— ცხენი! მე ვარ ცხენი! — და ინდიელები თანხმობის ნიშნად თავს უქნევდნენ. მას ჰქონდა უფლება, ეამაყა — ორი ცხენი ყავდა. გამთენიისას თეთრი ადამიანი და მისი საცოლე უკვე მოშორებულ ფერდობს იქეთ იყვნენ და ის ეუბნებოდა თავის საცოლეს:

— მე შენ მიყვარხარ, ახალგაზრდა ქალბატონო, მე შენ მიყვარხარ!

გოგონა უყურებდა დიდი, შავი თვალებით და ტყვეს ეჩვენებოდა, რომ მას ესმოდა მისი სიტყვები.

— ჩემი განძი ხარ, — თქროზე ძვირფასი ხარ, — ეუბნებოდა ის. — მე შენ „თავისუფლებას“ დაგარქმევ.

ორი დღის შემდეგ, როცა ისინი სოფელში დაბრუნდნენ, მას აღარ ეშინოდა. მაინც ლელავდა. თამაშში, რომლის ყველა წესიც მან არ იცოდა, მისი კოზირი შეიძლებოდა დაბალი გამომდგარიყო. მაგრამ ეს არ მოხდა.

მოხუცი — ქონიანი ხელი გამძვინვარდა, მაგრამ არა სიძის გამო, არამედ იმისთვის, რომ მას ძალიან ცოტა მისცეს ქალიშვილში. მათი ქორწილი ისეთივე იყო, როგორც სხვებისა კროუს ტომში.

ამის შემდეგ ის ენას გაცილებით სწრაფად სწავლობდა. ცოლს — მოზრდილ ხბოს კი ხანდახან „თავისუფლებას“ ეძახდა. მან შეიტყო, მისი ყურადღებიანი, მოყვარული ცოლი სულ რაღაც თოთხმეტი წლისა იყო.

მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა: რა გავლენას მოახდენდა მისი ქორწინება მოხუცსა და ცოლისძმასთან ურთიერთობაზე. პატივისცემის იმედი არ ჰქონდა, მისი მდგომარეობა რომ უფრო უზიფათო გახდებოდა, სჯეროდა. ქონიანი ხელი საერთოდ აღარ ელაპარაკებოდა მათ. თეთრი ადამიანი თითონ დაელაპარაკა. ცოლმა აუხსნა, რომ ეს არ შეიძლება: კაცი სიღვრის არ უნდა ელაპარაკებოდეს. მან ის სიტყვებიც კი არ უნდა წარმოთქვას, რომლისგანაც მისი სახელი შედგება.

საგრძობლად გაუმჯობესდა მისი მდგომარეობა და გაქცევის უკვე აღარ ჩქარობდა. ახლა, როცა ცოლი ყავდა, შეეძლო როგორც ტომის ნებისმიერ მამაკაცს, ეცადა გამდიდრება. მოზრდილი ხბო უფლიდა ქმარს და იშვიათად გარბოდა გოგოებთან სათამაშოდ. ბეჯითად სწავლობდა დედისა-ჯან ტანსაცმლის კერვას, საკმლის მომზადებას, ტყავების გაშრობას.

ტყვე უკვე ცხენი კი არ იყო, არამედ რაღაც ადამიანის მსგავსი, ნახევრად ინდიელი, ჯერ კიდევ ღარიბი და გამოუცდელი, რომელიც ცდილობს, ფეხი მოიკიდოს ინდიელებს შორის.

გაქცევა შეიძლებოდა უკეთესი დროისათვის გადაედო. იშოვიდა კარგ ტანსაცმელს, ცხენს და იარაღს. სოფელი გადაადგილდებოდა რომელიმე ფორტთან ახლოს. მას არ ესმოდა, როგორ მიაღწევდა სახლამდე. ფიქრში წარმოიდგენდა თავს უკვე სახლში და მისიანებთან ყვებოდა კიდევ თავის მოგზაურობის დაუჭერებელ ამბავს.

წამოზრდილ ხბოს ხილავდა ქმრის ცოდნა. უკვე შეისწავლა მათი წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, ტომის ცხოვრება. ახალგაზრდა ცოლი კისკისებდა, როცა უხსნიდა მისთვის მკაფიო და გასაგებ რამეს. მაგრამ აღარ ეცინებოდა, როცა ძმის ცოლი რომელიც ველურმა წაიყვანა და ცდილობდა სიტყვებისა და ჟესტების საშუალებით ქმრისთვის გაეგებინებინა მომხდარი ამბავი.

„ყვითელი პერანგი“ ეკუთვნოდა დიდი ძაღლების კლანს, ცოლის მომტაცებელი „დაჭრილი ყელი“ კი მეღიებს. ეს კლანები ერთმანეთში არ მტრობდნენ. ერთად ნადირობდნენ, ერთად იბრძოდნენ. ერთი კლანის მამაკაცებს შეეძლოთ მეორე კლანის ცოლების წაყვანა, თუ უნდოდათ, რა თქმა უნდა, გარკვეული მოლაპარაკების ფარგლებში.

როცა დაჭრილი ყელი სიცილით და სიმღერით მიუახლოვდა ქონს და დაუთხოვია ყვითელი პერანგის ცოლს: „გამოდ, გამოდიო!“ — ის თვინიერად დასწრებდა და სიტყვებით ელოდა კიდევ. შემდეგ ცხენით გააყვია დაჭრილ ყელს მის სხვა ცოლებთან ერთად.

— მაგრამ რატომ? — ეკითხებოდა თეთრი ადამიანი ცოლს, თავისუფლებას რომ ეძახდა. რატომ მისცა შენმა ძმამ ცოლს წასვლის ნება? იმის ნაცვლად, რაიმე რომ იღონოს, ზის აგერ თავისთვის მარტო და ჩიბუნს აბოლებს.

წამოზრდილ ხბოს უყვირს, რატომ ეკითხება ამას ქმარი. მის ძმას ხომ არ შეუძლია, ცოლი უკან მოაბრუნოს. უკან დაბრუნება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ დაჭრილ ყელს თავს მოაბეზრებს ახალი ცოლი. ყვითელ პერანგს არც უნდა შეტყობოდა წყენა. თორემ ტომი გაიციხავს და შეარცხვენს, ასეთია მათი კანონები და ამ წესის დარღვევა შეუძლებელია.

ძმის ცოლს შეეძლო დამალვოდა და არ წაყოლოდა დაჭრილ ყელს, — უხსნიდა წამოზრდილი ხბო. — მას საერთოდ უარის თქმაც შეეძლო ყველაფერზე, ნამდვილად უმანკო ქალი რომ ყოფილიყო. მაგრამ ის ადრე დაჭრილი ყელის ცოლი იყო და დაჭრილ ყელს ჰქონდა უფლება, უკან მიეხზო ნაცოლარი.

ყველაფერი ეს უაზრობად ეჩვენებოდა თეთრ ადამიანს. ის უყურებდა ახალგაზრდა ცოლს და ეუბნებოდა:

— შენ თუ წახვალ, მე აუცილებლად დაგაბრუნებ უკან.

— არსადაც არ წავალ. ცხენი ჩემი პირველი მამაკაცია. ჩემს მოკასინში ხვრელები არ არის.

ცხენმა თმებზე ხელი გადაუსვა და ალერსით უთხრა:

— ბა-ვიეროკი!
მან თამამად შეხედა თვალებში და უჩურჩულა:

— ხეია!
და ცხენმა რომ არაფერი უპასუხა (მან არ იცოდა ეს სიტყვა), გოგონა გაბუტულად გადგა გვერდზე.

— ქალი ასე ეუბნება მამაკაცს, როცა გრძნობს, რომ ის არ დატოვებს მას. მე არა ვარ შენი შესაფერისი? თეთრმა ადამიანმა უფრო მაგრად მოხვია ხელი და იცრუა:

— მოზრდილი ხბო მართალია. ცხენი არ მიატოვებს მას. ცხენი არასდროს არ მოიყვანს სხვა ცოლს.


არა, ის ნამდვილად ვერ მიატოვებს ცოლს. მასთან განშორება ძალიან მძიმე იქნება.

— ხეია, — ჩაიჩურჩულა ცხენმა.

ცხენკაცში სინდისი ალაპარაკდა. თუმცა მალე გონს მოეგო და ის თუ აქედან წავა მოზრდილი ხბო ადვილად იშოვის სხვა მამაკაცს, უკეთეს მარჩენალს. თეთრი კაცი ცოტ-ცოტას კი ნადირობდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ინდიელებით მარჯვე.

ისე აღარ აფორიაქებდა ჩქარა გაქცევაზე ფიქრი. შეეჩვია კროუს ტომის ცხოვრების წესს. გამდიდრდა. ახლა უკვე ხუთი ცხენი ჰყავს. ტომში მისი მდგომარეობა მყარ საფუძველზეა. სამი თუ ოთხი ახალგაზრდა ქალი ცდილობს, თავი მოაწონოს. მოზრდილი ხბო ამაყობს იმით, რომ მისი ქმარი ასეთი მომხიბვლელია.

იმ დროისათვის, როცა გასაქცევად ყველაფერი მზად იყო, ბალახი უკვე გაყვითლდა და სიცივეები კარზე მოდგა. ის ტყვეა



აი ამ გოგონასი და მას თავისუფლება ჰქვია, და კიდევ, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ მისგან ბავშვს ელოდება.

გაზაფხულზე დიდი ძაღლები რაღაც საბჭოზე შეიკრიბნენ. თეთრი ადამიანი მდინარის პირას მიდიოდა თავის ცოლთან ერთად და ფიქრობდა: „როცა სახლში დავბრუნდები, მე ჩემს თავგადასავალს მოვყვები სიმღერებისა და დაფაფების ხმებში. ასე იქნება ოდესმე, ოდესმე“.

ქონში რომ დაბრუნდნენ, მოზრდილი ხბო არ დაწვა დასაძინებლად:

— მოვიცადოთ, უნდა გავიგოთ, რა ამბავია ძმის თავს.

ცხენმა, როგორც გაიგო, დიდ ძაღლებს რაღაც არჩევნები უნდა ჰქონოდათ. და ის ცეცხლთან დარჩა. მოხუციც კი, რომელსაც თუ საქმე არ ჰქონდა, წაძინება უყვარდა, მოუსვენრად დადიოდა ქონის წინ.

თეთრი ადამიანი უკვე მოძალებულად ამტკნარებდა, როცა ხმაური ჩაცხრა. კრება დამთავრდა.

გამოჩნდა ყვითელი პერანგი ღია ფერის ტანსაცმელში, ბუმბულებითა და ბეწვებით მორთული. ქალებმა უცებ წამოიყვირეს.

თეთრი ადამიანი რომ დასაძინებლად ემზადებოდა, ესმოდა როგორ ტიროდა გვერდით ცოლი.

დლით ცოლმა ყველაფერი აუხსნა:

— ჩემს ძმას დათვის ტყავის ქამარი შემოარტყეს. ახლა მას არ შეუძლია, ბრძოლაში უკან დაიხიოს. ის მუღმივ საფრთხეში იქნება. ის მოკვდება. მას ისედაც უნდა სიკვდილი, რადგან დარდი ჰქამს.

თეთრი ადამიანი შეეცადა, დაემშვიდებინა ცოლი, მაგრამ მან მოუთხორა, რომ მხოლოდ რამდენიმე ადამიანი გადარჩა ცოცხალი მათგან, ვისაც წილად ხვდა პატივი, ეტარებინა დათვის ტყავის ქამარი. სხვები დაიღუპნენ. თუ ამ ზაფხულს გადაურჩა, მაშინ ქამარი ვინმე სხვას გადაელოცება.

ყვითელი პერანგი მოწინააღმდეგე ტომის ინდიელთა რაზმებთან უამრავ ბრძოლაში გადარჩა ცოცხალი. მტრის ბანაკს ორჯერ დაესხა თავს, მოიტაცა ცხენები და ხელში ჩაიგდო იარაღი. მის მოკასინებს მგლის ყუდები ამშვენებდა, პერანგს — ყარყუმის ტყავები, შარვალზე ფოჩებივით ეკიდა მისი ხელით მოკლულთა სკალპები.

ზოგჯერ დედამისი თხოვნით ეუბნებოდა:

— ჩემმა შვილმა ახალი ცოლი უნდა მოიყვანოს, დედას დამხმარე ჰქონდეს.

ყვითელი პერანგი დედას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ძალიან დიდხანს ლოცულობდა. ზაფხულის ბოლომდე მაინც ვერ მიაღწია.

... შემორები ჩრდილოეთიდან ბრუნდებოდნენ. სწორედ ამ დროს თეთრი ადამიანი ორ სხვა მონადირესთან ერთად, სამხრეთიდან უახლოვდებოდა სოფელს. მონადირეთაგან ერთმა რაღაც ჩაილაპარაკა. შეჩერდნენ და ცქერა დაუწყეს მხედარს სოფლის ჩრდილოეთით, ფერდობზე.

მხედარი ჩამოხტა ცხენიდან, აიღო საბანი და დააგდო. ასე გაიმეორა ორჯერ.

— ორი, ორია დაღუპული! — ჩაილაპარაკეს მოღუშულმა მონადირეებმა.

ნაბიჯს აუჩქარეს. სოფელში ტირილი ისმოდა.

შემორებისაგან გამოგზავნილი მაცნე მოვიდა. სხვები შეჩერდნენ, რათა სახე მოეხატათ. ერთ-ერთი მოკლულთაგანი ყვითელი პერანგი აღმოჩნდა. მისი ნეშტი გამოქვაბულში დაასვენეს და ქვებით ამოკოლეს.

ქონის წინ, რომელშიც ყვითელი პერან-

გი აწი ველარასოდეს შევიდოდა, მიწაზე სისხლი ეცხო. დედამისი, მოკლედ შეჭრილი თმებით, შესასვლელთან ჩაცუცქულიყო, წინ და უკან ირწვოდა და ტიროდა. ერთი ხელით ეჭირა მეორე, დამახინჯებული ხელი: კიდევ აეჭრა ფალანგი ამ ხელზე.

მოზრდილმა ხბომაც შეიჭრა თმები, მოიმარჯვა დანა და გადაისერა ხელები. თეთრ ადამიანს უნდოდა, წაერთმია დანა, მაგრამ ქალმა ისეთი წინააღმდეგობა გაუწია, კაცი იძულებული გახდა, დაეთმო. მას შეეზიზნა ცოლი.

— „ველურები, — ფიქრობდა ის. — მე გავიქცევი აქედან. წავალ სანადიროდ და ამათთან აღარ დავბრუნდები!“

მაგრამ ის არ გაიქცა იმიტომ, რომ ერთადერთი მარჩენალი დარჩა ორი მგლოვიარე ქალისათვის — მოხუცისა და ცოლისთვის. ცოლის სხეულში მისი შვილი სუნთქავდა.

— შეწირვამ და გლოვამ ცხენი კვლავ დატაკად აქცია. ყველაფერი, მთელი მისი სიმდიდრე და ფეხზე დამდგარი ცხოვრება. სულზემა შეიწირეს. ჩვიდმეტი კამეჩის ტყავისაგან გადახურული ქონი, ბეწვული, რომლითაც დამდამობით თბებოდნენ, ირმის თეთრი ტყავის კაბა, ყვითელი პერანგის ხელსაწყოები და იარაღიც კი, ყველაფერი ეს მიატოვეს. მთელი სოფელი გადავიდა ახალ ადგილას. ორი ცხენი მსხვერპლად შესწირეს, სხვები მეომრებს დაურბეს.

ისინი უსახლკაროდ დარჩნენ. ქონს უახლოეს ორ თვეში მაინც ვერ გაიჩენენ და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ გლოვა აქვთ. შემდეგ ქალებმა უნდა გამოაშრონ ტყავები ქონის გადასახურავად. ჭერ-ჭერობით კმაცოფილდებიან ტირიფის ტოტებისგან შემოღობილი ღროებითი კარვით, მეგობრების ნაწყალობევი ტყავებით რომაა გადახურული. შეეძლოთ ეცხოვრათ ნათესავებთან, მაგრამ ამ ქალებს არ ჰყავდათ ნათესავები.

აქამდე თეთრ ადამიანს არ ესმოდა, რას ნიშნავს კროუსათვის უნათესაობა. ახლა გაიგო, რატომ შემორჩა მოხუცის ხელებზე თითების ნაცვლად წანაჭრები. წლების განმავლობაში საცოდავი მოხუცი კარგავდა თავის ნათესავებს. იჭრიდა თითებიდან ფალანგებს, და ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ერთადერთი გოგონა — მოზრდილი ხბო არ დარჩა.

თეთრი ადამიანი შეაძრწუნა მათმა სიბრძნევამ. მართალია, მას არ ჰქონდა ლამაზი ტანსაცმელი, არ ჰყავდა ცხენი, მაგრამ რაც გააჩნდათ, ამ ქალებმა ისიც სხვებს გადაულოცეს.

წონასწორობიდან გამოსული თეთრი კაცი, ღამეს მათთან ერთად ქონში აღარ ათევდა. გარეთ, ტოტებიანი ხის ქვეშ იძინებდა. გლოვის მესამე დღეს გადაწყვიტა: დანა და მშვილდი ჰქონდა, წავა სანადიროდ და აღარ დაბრუნდება, თან გონებაში გაუელვა, რომ იქ, თავის სახლში ზოგ რამეზე არ ღირდა ლაპარაკი.

ქონში მოზრდილმა ხბომ დაიყვირა. შემოფოთებული ხმები და ხმაური სულ უფრო ძლიერდებოდა.

ორიოდე საათის შემდეგ, ვადაზე ორი თვით აღრე, დაიბადა მისი ვაჟიშვილი. ბავშვი მკვდარი დაიბადა და იმავე დღეს დედაც გარდაიცვალა.

თეთრმა ადამიანმა აღარ იცოდა, რა ექნა. მოხუცი ხმის ჩაწყვეტამდე ყვიროდა და ტიროდა. დარდით განადგურებული, ცრემლებით დაბრმავებული, მიუახლოვდა ის

სიძეს და დანა გაუწოდა. გამოართვა დანა სიძემ. მოხუცმა ხელები გაშალა, მაგრამ უცებ უარის ნიშნად თავი გააქნია. მისთვის კიდევ ერთი თითიც რომ მოეჭრა, თათ, უკვე მუშაობას ველარ შეძლებდა.

თეთრმა ადამიანმა კბილებში გამოსცრა: — კარგი! კარგი!

ის ისევრავდა ხელებს და უყურებდა, ჰრილობებიდან როგორ წვეთავდა სისხლი. ეს ძალიან მცირე საზღაური იყო მისი ცოლის სიკვდილისათვის.

„მე უკვე აღარაფერი მაკავებს, — ფიქრობდა თეთრი კაცი. — როცა სახლში დავბრუნდები, შევეცდები როგორმე დაფარო ნაჭრილობები ხელებზე“.

უყურებდა დარდისაგან შეძრწუნებულ გაქონილ ხელს და ფიქრობდა: „ახლა მე თავისუფალი ვარ!“ როცა ცოლი კვდება, ქმარს არავითარი ვალდებულება არა აქვს მისი ოჯახის წინაშე. ასე უყვებოდა მოზრდილი ხბო.

მოხუცი, რა თქმა უნდა, მაწანწალა გახდებოდა. ასეთი მაწანწალა უკვე იყო ტომში. მას არ ყავდა ნათესავები და მასზე არავინ აგებდა პასუხს. ცხოვრობდა იმით, რასაც მიუგდებდნენ უფრო იღბლიანი მისი ტომელები. როცა სოფელი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, ის ბოლოში მიჩანჩალობდა. ეცემოდა, არავინ ყურადღებას არ აქცევდა. მოკვდა და არავის უგლოვია.

— „ხეალ მე აქედან წავალ“. — გაიფიქრა თეთრმა ადამიანმა.

მოხუცმა ჩაცვენილი ყბები აამოძრავა და ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა:

— ირო-ოშეი?

„შვილოო!.. ამას ნიშნავდა ეს სიტყვა. თეთრკანიანს გაახსენდა, ცოლი რომ კვდებოდა, ქმარი თავისუფალი იყო. მაგრამ სიღვრეს, რომელსაც მუდამ ამყავდა ეჭირა თავი და არაფრად აგდებდა სიძეს, თუ სურდა, შეეძლო დარჩენა ეთხოვა. შვილი რომ უწოდა, მან ამით სიძეს თავისთან დარჩენა თხოვა. მას კი მოხუცისათვის, თუ დარჩენა უნდა, დედა უნდა დაეძახებინა.“

იღვა თეთრი კაცის წინ გაქონილი ხელი. მოკვებული. გაუთავებელი შრომით გამოშროალი, შვილებისა და სიხარულის გარეშე დარჩენილი, მარტოდმარტო გაუგონარი დარდის პირისპირ... და აი, მან, მანამდე ასე ამყამა და ჯიუტმა, იმდენად უყვარდა სიცოცხლე, რომ მიმართა სიძეს, ერთადერთს, ვისთვისაც კიდევ ჰქონდა უფლება, მიემართა. მოხუცმა დაკარგა ის უკანასკნელიც, რაც გააჩნდა... დაკარგა სიამაყე...

თეთრმა ადამიანმა აღმოსავლეთისაკენ გაიხედა, იქ, ორიათას მილზე აქედან, იყო მისი სახლი. მოხუცი სამუდამოდ ხომ ვერ გამოეკვრება ცას. ცოტა ხანს იცოცხლებს და მეტე თითონაც თავისუფალი იქნება. თეთრი კაცი ახალგაზრდა და შეუძლია დარჩეს აქ, მოხუცთან. ცოტა ხანი დასჭირდება კიდევ ცდა. ის ხომ მამაკაცია.

და უპასუხა თეთრმა კაცმა მოხუცს:

— იგია!

— დედაო!.. ამას ნიშნავდა ეს სიტყვა. სახლში სამი წლის შემდეგ დაბრუნდა. მან მხოლოდ ეს თქვა:

— მე ვცხოვრობდი კროუს ტომში. აქამდე ვერ გამოვალწვი მათგან. ისინი ცხენს მეძახდნენ.

საჭიროდ არ ჩაუთვლია არც ბოდისის მოხდა და არც კვებნა დაუწყია. და ეს იმიტომ, რომ ახლა ის დედამიწაზე ყველა ადამიანის თანასწორი იყო.

თარგმანა ქეთევან ჩხაიძემ.



ახალი იდეალი

მ


სოფლის მრავალი ქვეყნის კინოოყვარულთა, განსაკუთრებით ქალებს, ახალი იდეალი მოეფინა იტალიური სატელევიზიო სერიალის „რვაფეხას“ ხილვის შემდეგ. კომიხარ კატანის როლის შემსრულებელი მიქელე პლაჩიდო სრულებითაც არა მგავს ამერიკული თუ ევროპული კინოს დღემდე აღიარებულ არც ერთ ვარსკვლავს. ჭეშმარიტი სამხრეთელი, სიტყვაძვირი, მორიდებული, ცოტა უფიქრი მიქელე პლაჩიდო ქუჩაში გამოჩენისთანავე მოძრაობის შეჩერების საფრთხეს ქმნის, რადგან მის ირგვლივ წამსვე წნდება თაყვანისმცემელთა ჭკუფი. ჩვი ფენტეალების, ოფიციალური მიღებების, საქველმოქმედო ხალა-მოების სახურველი სტუმარია. ახეთ საყოველთაო ხიყვარულზე ოცნებობს ყველა მსახიობი. ოცნებობდა მიქელეც ჭერ კიდევ დაწყებით სკოლაში სწავლისას. მაგრამ მშობლები მისიონერი ბიძის ზეგავლენით მღვდელ-მსახურებისთვის აწადებდნენ და სასულიერო სემინარიაში მიიბარეს, ხაიდანაც მალევე დაითხოვეს არაღვთიური საქციელის გამო: მან მონაზონს მხოლოდ ერთი ფრაზა მისწერა — „მიყვარხარ მადონაზე მეტად!“

მოგვიანებით, სამხედრო ბეგარის მოხდის შემდეგ მიქელე რომში გაემგზავრა და დრამატული ხელოვნების აკადემიის სტუდენტი გახდა. და ახლა, 43 წლის ასაკში (დაიბადა 1948 წლის 19 მაისს) ბავშვობის ოცნება აუხდა. თუმცა ახეთი დიდი აღიარება მიქელე პლაჩიდოს ერთბაშად არ მოუპოვებია. მას უკვე 50-მდე როლი აქვს განსახიერებული კინოში: ჩვენმა მაყურებელმა იგი პირველად ფილმ „სახალხო რომანში“ იხილა, რასაც მოჰყვა „დაროქილი კაცი“. მსახიობის „ვარსკვლავიერი წამი“ სატელევიზიო სერიალის „რვაფეხას“ გამოსვლისთანავე დაიწყო.

თავისი გმირის კორალო კატანის მხგავხად მიქელე პლაჩიდოსაც ცოტა უჩვეულო პირადი ცხოვრება აქვს. იგი აღმერთებს თავის ერთადერთ ქალიშვილს — ცამეტი წლის ვიოლანტას, რომლის დედასთან, მისთვის ერთადერთ და განუყოფელ ხიყვარულთან სიმონეტა სტეფანელისთან ქორწინება წლების მანძილზე ვერაფრით გადაეწყვიტა იმ მიზეზით, რომ ოჯახის კაცი არა ვარო. და როცა სიმონეტამ განუცხადა, ცამეტი წლის შემდეგ მივხვდი, აღარ მიყვარხარო და ამერიკაში გაემგზავრა, ქალიშვილთან ერთად ერთი წლის ცხოვრების შემდეგ პლა-

ჩიდო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქმრადაც გამოდგებოდა და წელს 28 მაისს ლოს-ანჯელოსში ქორწინდა. თავის არაოფიციალურ ცოლზე იმეორებს: „რაც შეეხება შემოქმედებით ცხოვრებას, როგორც თავად მიქელე პლაჩიდომ განაცხადა, საშინლად დაიღალა არა მხოლოდ ფიციურად, სულიერადაც და უკვე მეოთხე სერიალის დასაწყისშივე ეშუდარებოდა რეჟისორს, „დაუხვრია“ იგი და გაუთავისუფლებინა „რვაფეხასგან“. ახე რომ, კინოეპოპეა, რომლის მეხუთე სერიალს ამჟამად ამერიკაში იღებენ, გავრცელდება კორალო კატანის გარეშე, რადგან „რვაფეხა“ 4-ში დაუდგრომელი სიმართლისმამაძებელი კომიხარი ავტომატის ჭერის მხხვერპლი ხდება. „ბასტა!“ თქვა მსახიობმა, — აღარ მინდა ჩემი სახელი მხოლოდ კომიხარის სახესთან გაიგვიდეს. სხვა ამალუა მომენატრა, დრამატული, თუნდაც კომედიური, მხოლოდ ისეთივე განსხვავებული და დაშორებული, როგორც რომი და სიცილია.

ახლანანს მიქელე პლაჩიდომ დაამთავრა გადაღება ფილმში „მარია სამუდამოდ“, რომელშიც იგი ახახიერებს მცირეწლოვანთა საპატიმროს მასწავლებლის როლს.



INTERJAZZ TBILISI '89

26.X-2.XI.1989

ს

ილარმონის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საბჭოთა ჯაზის ისტორიაში ყველაზე დიდი საერთაშორისო ფესტივალი — „ინტერჯაზი. თბილისი-89“.

ფესტივალის მოწყობაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს არა მარტო ორგანიზაციებმა, არამედ ცალკეულმა პიროვნებებმაც. ამ ზემის მოთავედ და მთავარ ორგანიზატორად უნდა ჩაითვალოს მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი გაიოზ კანდელაკი.

ორი წლის წინ, როცა საყოველთაოდ ცნობილ პოლონურ ფესტივალზე „ჯაზი ჭემბორი“ გამოდიოდნენ ქართველი მუსიკოსები, იქ იყო გ. კანდელაკი — ფირმა „მელოდის“ თბილისის სტუდიის მაშინდელი დირექტორი. იქვე გაიცნო მან ცნობილი შვედი იმპრესარიო ბუ ჯონსონი, „ჯაზ ჭემბორის“ ორგანიზების „პეტორი“. მათმა პირადმა კონტაქტებმა, უშუალოდ დიდი როლი ითამაშეს ჯაზური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის საქართველოს დედაქალაქში ჩატარებაში.

და აი, მოხდა კურიოზი. ფესტივა-

ლის დაწყებამდე სამი დღით ადრე გაირკვა, რომ ვალუტა არ მიუღიათ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მოვლენა, რომელსაც როგორც დღესასწაულს, ისე ელოდა მუსიკის მოყვარულები, შეიძლება ჩაშლილიყო.

მაშინ ბუ ჯონსონი ტელეტაიპს მიუქცა... და დილის ოთხ საათამდე არ მოხცილებია. ოთხ საათზე კი მივიდა გაიოზ კანდელაკთან, მხრებზე ხელი მოხვია და ტელექსი გაუწოდა: „ეს შენ, პირადი საჩუქარი“. „პირადი საჩუქარი“ აღმოჩნდა რამდენიმე ევროპული ბანკის თანხმობა კრედიტის გამოყოფაზე. ასე რამდენიმე საათში მოახერხა ბუ ჯონსონმა გაეკეთებინა ისეთი რამ, რაც მსოფლიო ბიზნესისათვის წარმოუდგენელია.

და ბოლოს უკან დარჩა ყოველგვარი მღელვარება... მსოფლიო ჯაზის რუკაზე კი გაჩნდა ახალი წერტილი — საქართველოს დედაქალაქი.

„ინტერჯაზი“ პირველი ხალამო დაიწყო ვაჟთა გუნდის „უურნალისტიკის“ გამოსვლით. მაყურებელთა წინაშე წარსდგა თბილისის ანსამბლი „ჯაზ-ქორალი“ აღექანდრე კილაძის ხელმძღვანელობით, შემდეგ ფესტივალის კაბალონზე ამოვიდა მსოფლიო მასშ-

ტაბის ვარსკვლავი — გუნდი „ჩარლი მინჯუს დინგითი“ (აშშ). მისი ხელმძღვანელი ჯორჯ ადამსი განაცვიფრა ჩვენი მაყურებლის მჭუხარე ოვაციამ. ანსამბლს სახელწოდება თავისი დამარბების, თანამედროვე ჯაზის ცნობილი კონტრაბასისტის, აწ გარდაცვლილი ჩარლი მინჯუსის საპატივცემლოდ დაერქვა.

... 28 ოქტომბერს, დამით თორმეტის წუთებზე, როცა პირველი განყოფილება დამთავრდა, გამოაცხადეს რომ ლითთერ ელისონის ჭკუფი ჭერ კიდევ არ იყო თბილისში ჩამოფრენილი; დარბაზში ბლიუზის მოყვარულთა უკმაყოფილო გუგუნე გაისმა.

მაგრამ იმდენად დიდი იყო მაყურებლის სურვილი ამერიკელი გიტარისტისა და მომღერალთან შეხვედრისა, უყოყმანოდ დასთანხმდნენ... იმ წუთში ცაში მყოფი მუსიკოსისათვის დაცდაათ.

ფესტივალის ორგანიზატორების სახხელოდ უნდა ითქვას, რომ გადაილახა ხანგრძლივ ფრენასა თუ აპარატურის მოწყობასთან დაკავშირებული ყველა დაბრკოლება.

... კონცერტის მეორე განყოფილება დაიწყო 30 ოქტომბერს, დამის პირველ საათზე და დილის ოთხ საათამდე გაგრძელდა. „ქორჯი, მე შენ მიყვარხარ... მე ძალიან დავიღალე, მაგრამ ვერ ვგრძნობ დღლილობას. მე აქ კარგად ვარ. რა საწყენია, რომ ღმერთმა თქვენთან ყოფნის კიდევ ერთი დღე არ მარუქა“, — გაისმის სცენაზე ელისონის იმპროვიზებული ხმა.

მაყურებელი შეხვდა ინტერჯაზის ყველაზე მომხიბლავ მონაწილეს — გიტარისტ ლენი სტერნს, ბრწყინვალე

ტექნიკის საყვირის დამკვრელსა და ფლიუტგეგორნისტს ფრეი ჰაბარდს, რომელიც უურნალისტებს გამოუტყდა, რომ ჭერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან.

და ბოლოს, მაყურებელს ჰქონდა ბედნიერება, დაბადების დღე მიელოცა თვით არტი ბლეიკისათვის. საიუბილეო კონცერტი „არტ ბლეიკ ჯაზ მესენჯერში“ ყველაზე ნათელი მოვლენა გახდა „ინტერჯაზი-89-ის“ კალენდარსაგან. ფესტივალის წამყვანმა იური ვანნაქემ, როდესაც მაყურებელს წარუდგინა 70 წლის, 11 შვილის მამა, რომელთაგანაც უმცროსი 5 წლისაა, დარბაზში აპლოდისმენტების გრავალი გაჩნდა.

მოსუცი ზანგი თავს არიდებდა უურნალისტების ყველა შეკითხვას — მას ამისთვის არ ეცალა. პრესისათვის საინტერესო შეკითხვაზე, თუ როგორ ახერხებს იგი იყოს ერთდროულად ჯაზის ისტორიაც და ცოცხალი მუსიკოსიც, ის ჰომერულ სიცილიად დაიდვარა, მიიღო მწუხარე სახე და ნაღვლიანად უპასუხა ერთადერთი ფრაზით:

— ჰო, ეს ძალიან რთულია!

ალბათ ამაშია მთელი ბლეიკი. „ვარსკვლავცვენის“ ბოლო დღეს ფილარმონიის სცენაზე გამოვიდნენ „სან რა იუნეივრხად არკებტი“ და ორგანის კორიფე ჭიმი სმიტი. მათი მალალი ხელოვნება ისევე, როგორც კუბის ჯაზის გუნდისა და ინტერნაციონალურ ანსამბლ „პირიპაქს“ გამოსვლა, დიდხანს დაამახოვრდებოდა ჩვენს მაყურებელს.

ეკა ახალაძე



რამდენი ვიცინეთ: „ცრემლით
სავსე თვალებით ზღვაში ვიძი-
რებით იმის გამო, რეჟისორი
ხართ“. ეგებ ამაღვარე, რამდენი
— მაგრამ ჩვენ ხომ ზღვაზე
არა ვართ.

— მაგას რა მნიშვნელობა
აქვს. ამის მსგავსი რამ უნდა
მოვიფიქროთ, მაგალითად, აი
ასე: „ვსუნთქავთ რა მთის საა-
მური ჰაერის არომატით, ვნა-
ნობთ, რომ ჩვენთან არა
ხართ“...

— ძალიან კარგი. მაშ, ბარემ
გავრითმით კიდევ: მთის საა-
მო არომატით ვსუნთქავთ, რა-
რიგ ვნანობთ, რომ არა ხართ
ჩვენთან...

— ვსუნთქავთ — ჩვენთან.
ცუდი რითმია!

— მე რა, მიცკევიჩი ხომ არა
გყავარ? თუ არ მოგწონს, თა-
ვად მოივინე.

— ჰო კარგი, მოიტა კალამი...

კარასინსკი ქოშინით აიჭრა
მეოთხე სართულზე, ბინის კა-
რი შეაღო და ცოლს გასძახა:

— გასაღები მომეცი, დაბლა
საფოსტო ყუთში რაღაცა დევს.

ჩაირბინა ქვემოთ და რამდე-
ნიმე წუთის შემდეგ კიდევ უფ-
რო მეტად აქოშინებული სა-
მზარეულოში შეიჭრა, სადაც
პანი კარასინსკა საახალწლო
სამზადისში იყო ჩაფლული.

— ნეტავი რა ძალა მადგა,
რომ შურლულივით გავვარდი!
ეშმაკმა დალაზვროს იმათი თა-
ვი და ტანი. ამ მეოთხე სართუ-
ლის გადამკიდე, როდისმე ინ-
ფარქტს ავიკიდებ.

— ყუთში რა იყო? — და-
ინტერესდა კარასინსკა.

— არაფერი. რაღაც მოსა-
ლოცი ღია ბარათი ეგდო.

— ვისგან?

— არ ვიცი.

— არ აწერია?

— ახლავე გავსინჯავ. მია-
ნოვსკები!

— ვინ მიანოვსკებია?

— იქნებ გლინარსკებია, ვერ
ვარკვევ.

— აბა მიჩვენე... მალჩევს-
კები.

— მალჩევსკები ვინლა არიან?

— თუ მიკულსკებია? შენ
იცნობ ვინმე მიკულსკებს?

— მოეშვი ერთი. თუ ღმერთი
გწამს, ნუთუ სხვა საზრუნავი
არა გაქვს რა! სადილი მაქვამე,
შომშლით ვკვდები.

კარასინსკამ ღია ბარათი ნა-
გვის ვედროში ჩააგდო და მა-
გიდის გაშლას შეუდგა.

თარგმნა

შოთა ამირანაშვილი

სახალწლო ვილოზვა

სტეფანია გროფენსკა

● მალინოვსკები დიდხანს თა-
თბირობდნენ ჯიხურის წინ, სა-
დაც ხედებიანი ღია ბარათები
იყიდებოდა.

— მოდი, ეს აბდღერიალე-
ბული ნაძვის ხით დამშვენებუ-
ლი ღია ბარათი გავუგზავნოთ,
ძალზე ეფექტურია.

— არა, არა, ახლა ყველა სა-
ახალწლო ატრიბუტებიან მისა-
ლოც ბარათებს გზავნის, ჩვენ
უფრო ორიგინალური რამ შე-
ვარჩიოთ.

— მაშინ აი, ეს მწვანე ნარ-
გავებჩარიგებული რკინიგზის
შტო ავილოთ.

— საიდან სადაო! ისინი ძვე-
ლი თავგამოდებული ტურისტ-
ები არიან. შარშან კარავმო-
კიდებულებმა ფეხით იმოგზაუ-
რეს ქვეყნის დასალიერამდე.
შენ კი რკინიგზას სთავაზობ.
მთები უნდა გავუგზავნოთ, მკა-
ცრი და ზვიადი ბუნება. აბა,
შეხედე, იქნებ ეს გამოდგეს...

— აბა, რა არის მაგაში მოსა-
წონი? მთლად ვაშიშვლებული
კლდეებია, თავპირი ჩამოსტი-
რით. ყველა ერთფეროვანია.
ასეთი ღია ბარათები, ალბათ,
უკვე თავხესაყრელად დაუგ-
როვდათ.

— მაშ, იქნებ ეს ცისფერკა-
ბიანი სჯობდეს, ძალიან ლამა-
ზია.

— მართლაც, მომხიბლავია!

— აი, ეგ ღია ბარათი მო-
გვეცი, გეთაყვა, გამაღობოთ.

ექე! ცალი კიდე გაყვითლებუ-
ლია. არა გაქვთ სხვა ასეთივე
ხედიანი ღია ბარათი?

— არა, ეს უკანასკნელია.

— აფსუს!

— იცი, რა? გამოვართვათ
ეს შეყვითლებული, ისინი იფი-
ქრებენ, ფოსტაში გაქუქყიანე-
ბულიაო.

— არა, ეგრე არ გამოვა, თუ-
კი შეათვალთებენ. ემჩნევა,
რომ ეს სიყვითლე ვიტრინაში
დიდი ხნის დებით არის გამო-
წვეული. კარინსკა იმწამშივე
იტყვის: ჩანს, გაკოტრებულან,
გაყვითლებული ღია ბარათი
გამოგვიგზავნეს, ახლის შესა-
ძინად ფული არ ეყოთო.

— კეთილი, აგერ ის ტური-
სტის სახლიანი ღია ბარათი
ავილოთ.

— მგონი, რაღაც აცხია.

— მაშინ ფერადი გამოვართ-
ვათ.

— თუ შეიძლება, ფერადი
ღია ბარათი გვიჩვენეთ, არა.
ეს კი არა, აგერ ის. ექე! აქ რა-
ღაც ცხვრებია, რაში სჭირდე-
ბათ ცხვრები?

— სჯობს ისევ მთები ავი-
ლოთ. მთები მთებია!

— კარგი, კარგი, მოგვეცით.
გეთაყვა, აგერ ის თოვლიანი...

— თოვლიანი? ეს საშინლად
ტრაფარეტულია. გვერდით რომ
უდევს, ისა სჯობს.

— გვიბრძანეთ ერთი, თუ
შეიძლება, ეს რომელი მთაა?

ის ხომ არ არის, აქ რომ გვაქვს.
ზაკობანეში?

— ნეტავი მაგას შენთვის რა
მნიშვნელობა აქვს?

— სწორედაც რომ აქვს! იქ-
ნებ ეს მთა სადღაც სილეზია-
შია, ჩვენ კი მასზე დავაწერეთ:
„სალამი ზაკობანედან“. ისინი
დაასკვნან, რომ ჩვენ მათ რო-
მელიდაც შინ ნავლები ღია ბა-
რათი გავუგზავნეთ.

— ის მთა ავილოთ, რომელ-
ზეც „გევონტი“ აწერია.

— ეგეც მართალია. უკიდუ-
რეს შემთხვევაში თვითონ ხომ
გვეცოდინება, რაც არი! მოგვე-
ცით, გეთაყვა, გევონტი და
ორმოციანი მარკა, გამაღობოთ.

— კალმისტარი გაქვს? ახლა-
ვე დაეაწეროთ.

— როგორ დავაწეროთ?

— ჩვეულებრივად. „გული-
თად სალამს გითვლით და ახალ
წელს გილოცავთ ზაკობანედან,
მალინოვსკები“.

— იქნებ უფრო გონებააზ-
ვილოთ...

— მაგალითად, რა?!

— მოიფიქრე რამე.

— ასე უცებ? მოიცა, ასე
რომ დავიწყოთ: გევონტის
მთის ძირიდან გესალმებიან მა-
ლინოვსკები.

— გონებააზვილოურად მი-
გაჩნია?

— უკეთესი შენ მოისაზრე.

— მოიცა, მოიცა, იუზიკმა
როგორ მოგვეწერა? გახსოვს.



ნინო ხალუკვაძე



გურია დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას.

სპორტული ლოკალატი



ლეილა მესხი



სოხუმის „დინამო“ პირველ ლიგაში



ხათუნა კორკელია




დიანა დარჩია




კობა კურტანიძე




ქეთევან კახიანი



ჩემალ მჭედლიშვილი
ორგზის მსოფლიო ჩემპიონი




ნატო ლასარიძე




ხათუნა კვრივიშვილი



კვლავ რუსუდან ხოფერია



სულიკო თოფურია



თარგმანად: 2. წმინდა ძაფის მეჩხერი ფოჩებთან ქსოვილი. 4. ისლანდიის პარლამენტის სახელწოდება. 7. ძველბურთი ინგლისური ოქროს ფული. 8. რისამე მარაგი. 11. ქიმიური ელემენტი, მოვერცხლისფერო ლითონი. 18. ჩაიკოვსკის ოპერა. 14. გაქანების სიდიდე. 15. ზოგიერთი მოლუსკის შიგა ფენა. 17. რისამე განვითარების საფეხური, პერიოდი. 21. საკვების ულუფა, ნორმა გარკვეული ვადისათვის. 24. საქონდით ნაწარმი. 25. გრძელი უტარო მათრახი. 26. ერთ-ერთი საეკლესიო დღესასწაული. 28. ნატურიდან შესრულებული წინასწარი მონახაზი. 29. ალვის ხე. 30. გაიგივება, გათანაბრება.

შპველად: 1. ტკბილი, ბლანტი ნივთიერება. 2. ქართული პერიოდული ჟურნალი. 8. ღვთის მოციქულად წარმოდგენილი უსხეულო არსება. 5. ქრისტიანთა „საღმრთო წიგნების“ კრებული. 6. სოფლის მცხოვრებთა ამსახველი მცირე ზომის პოეტური ნაწარმოები. 9. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს სახელწოდება ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში. 10. ინდოელი მწერალი. 12. რაიმე მოქმედებისათვის ხალხის აღმძვრელი მიზეზი, ბიძგი. 16. მანარა. 18. იაპონიის სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების მარკა. 19. თოთხმეტატეპიანი ლექსი. 20. ავსტრიელი კომპოზიტორი. 22. ახალი წლის სახელწოდება გურიაში. 23. ხალხური ჩასაბერი საკრავი. 27. ინგლისისა და ამერიკაში გავრცელებული სპორტული თამაში.

ქრისტიანული ზეგლიერთა გიორგი ქურდოვანიძემ

20-12 ნომერში გამოქვეყნებული ქრისტიანული პასუხები:

თარგმანად: 5. მოლბერტი; 6. პარიტეტი; 7. მოლიბდენი; 12. ხუჭაბი; 18. ანდაზა; 14. მისია; 16. იავა; 17. მარო; 19. ადლი; 20. კანო; 22. „აკაკი“; 25. ესქილე 27. უაიტი; 28. შოკინიზმი; 29. უმბრიელი; 30 ირლანდია.

შპველად: 1. მოლადური; 2. ორიონი; 8. გრინდა; 4. ატავიზმი; 8. იაპი; 6. დეი; 10. ნავიგაცია; 11. იდეოლოგია; 14. მავია; 15. ამოკი; 18. კოსტრომა; 21. ავტარკია; 23. კანი; 24. კოდი; 26. ეპოპეა; 27. ურმული.

გარეგანის პირველ გვერდზე: შინს პირს შაბარნი ფოტოგრაფიული ბონდო დვლიშვილისა.

ს

ველა პროფესიას აქვს თავისებური ხიბლი და ლაზათი. რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენიათა პროფესიის სიუვარულიც. ძია შალვას რომ ჰქონოთ, რომელი პროფესიისა უვლაზე უკეთესიო, დაუფიქრებლად ვიპასუხებთ, რა თქმა უნდა, ჩემიო. ამას ისე იტყვის, წამხვე მიუხვედებით, როგორა აქვს გათავისებული თავისი საუვარელი საქმი.

კითხვა არც დაშკირებია, ისე მივაგენი მის ადგილსამყოფელს იპოდრომზე. გრძელი თავის წინ ხელში შლანგმომარჩვებული იდგა და ცხენს საგულდაგულლოდ ბანდა.

მხოლოდ მოგვიანებით, როცა ცხენი საჩინობოში დაბინავა, ჩვენთვისაც მოიცალა. სხვა ცხენებთანაც ჩამოგვატარა და სათითაოდ „გაგვაცნო“.

— შე რატომღაც ასე შეჩვენება, ჩვენ, ადამიანები, ძალიან ცოტა უურადლებას ვუთმობთ ცხენს. მივიწყებთ მისი არსებობა. თუმცა, ამას უვლაზე ვერ ვიტყვით. აქ ისეთი ხალხიც მოდის, ერთი დღეც რომ არ შეუძლიათ უცხენოდ გაძლება... ეს ძალიან ცოტაა, ზღვაში წვეთია. ამ ახალგაზრდებს მაინც რა ემართებათ. განა ცხენოსნობაზე უფრო მიმზიდველი და საინტერესოა სპორტის რომელიმე სხვა სახე? გასართობადაც არ უნდათ, თორემ მოვლაზე ვინ აიტყვებს თავს. სათოფედაც არ ეკარებიან. მართალი ვითხრა, გული მტკივა ამხვეც. ჩემი შვილი ხშირად შემახსენებს ხოლმე:

— მამი, დროა მუშაობას თავი მიანებო და შინ, შვილიშვილებთან იქუქუკო. მეც ვცადე, როგორ არ ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვივიდა. უცხენოდ მაინც ვერ გავძელი და აგერ უკვე ოთხი ათეული წელია, ამთა გვერდით ვტირალბე: ვუვლი, ვაქმეც, ვასუფთავებ. ან კი როგორ ეღალატებათ, როცა ვციცი, რომ ომგამოვლილსა და არაერთხელ დაჭრილ-ნატყუარ კაცს სიცოცხლე სწორედ ცხენმა შემიწარჩუნა, გამომაკაუა და სამოცდა ექვსი წლისა ისე მოვიყარე, თავის ტყვილი რა არის, ის არ ვციცი.

ძლივს მოვიფიქრე, გვარი და წარმოშობა მეითხა, იმდენად საინტერესო მოსაუბრე გამოდგა ძია შალვა. — ჯავახიშვილი ვარ, დუშეთის რაიონიდანო. მიპასუხა. ჭადარა და ხანდომიანი სახის ენაწულიან მოსაუბრეს, გვარიც რომ ნაამაყო და შესაშური ჰქონია!

მერე ოჯახზეც ჩამოვუვადე სიტყვა.

მეუღლე გარდაცვლია. ერთი ვაჟი ჰყოლია, ინჟინერი. რძალი პედაგოგი ყოფილა. სამი შვილიშვილი წამოსწვია. მათგან სითბო და სიუვარული არ აკლია.

— ესეც მშველის დილით ექვს საათზე უკვე სამუშაოზე რომ ვიყო, თორემ პატარები სულ შემომწუწუნებენ: ბაბუ, ჩვენც წავიყვანე ცხენებთანო, — სიამაყით ამბობს შალვა. ძალიან უყვართ ცხენები. მეც, როცა კი ამის საშუალებაა, ყოველთვის მომყავს. ხშირად შვილიც მეხმარება. არც მთავრობა მაკლბებს ყურადღებას. ერთოთახიანი ბინაც მომცეს. შვილებს და შვილიშვილებს ვერ ველევი და იშვიათად თუ გამიწევს იქითკენ გული.

ეტყობა, ვთქვა თუ არაო, იმაზე ჰოკმანობდა, მცირე ხანს დაფიქრდა და მერე გააგრძელა:

— ვიცი, ამის დაწერა ცოტა უხერხულია და არც დაწერო ალბათ, მაგრამ ჩემი გულისტყვილიც უნდა გაგანდოთ. აგერ უკვე მერამდენ წელია მანქანის რიგში ვარ ჩაწერილი და ჭერ-ჭერობით არაფერი ჩანს. არადა, შინიდან დილის ხუთ საათზე გამოვდივარ, სამუშაოზე რომ არ დამავიანდეს. ასე მგონია, უჩემობა რაღაცას ავნებს აქაურობას. ამას წინათ, შვებულებიდან რომ დავბრუნდრ, გულსატკეპნი ამბავი დამხვდა — ერთი ცხენი მომკვდარიყო. უვლაფერს თავისი წესი აქვს, ასევე ცხენსაც. უნდა იცოდე, როდის აჭამო, როდის დაალევირო წყალი. ნაოფლარზე ცხენმა წყალი რომ დალიოს, გათავებულია მისი საქმი. ამიტომ გვინდა ჩვენ, ხანდაზმულებს, ღირსეული შემცველელ გვეყავდეს.

ესა თქვა და გაჩუმდა. იქნებ ღირდეს სხვებაც ჩაფიქრდენ შალვა ჯავახიშვილის, ამ ღირსეული პიროვნების, ნაომარი და ნაჭაფარი ადამიანის საფიქრალზე?!

ნუნუ კუპარაიშვილი

ნადაეც წარმოებას 27.11.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.12.89. უე 09548. ქალაქის ზომა 70x108/8. გარეგანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფინანსური ფურცელი 3, პარობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თამაზი 5,89. ტირაჟი 55.060. შეკვეთა 2582. ფასი 85 კაპ. 350098, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კა ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-86, პ/მგ. მღვინის—99-82-69, განყოფილებათა გამგებების—99-28-42, 99-01-89, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-86.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



▲
მეჩინიბე შალვა
ჯავახიშვილი

◀ სტუმრად
ბაბუასთან თავლაში

6158/42

ინდექსი 76056

ქართული
ბიბლიოთეკა




ჟრედ ხაბარდი



თამაზ ყურაშვილი

მსოფლიო ჯაზის პარსკვლავები



ლუთერ გლისონი



არტ ბლეიკი